59
330

# ცისკარი

ტომი პირველი

1859

იანვარი. წიგნი პირველი.

-6-

წოდება თხზულებათა:

I. — ლექსები, სხუა და სხუათა, თანმედროეთა მწერალთა. . . . . . . .
II. — ჩემი გული. მოთხრობა. . . . დ. თაზიევისა.
III. — მეფის ირაკლის წიგნი სპარსეთიი.. . . . . . . . . . . . . . მეფის ირაკლისა.
IV. — რომელიმე შემთხვევულებანი მეფის ირაკლიზე. . . . . . . . თ. დ. მაღალოვისა.
V. — რამოდენიმე ჰაზრი საზოგადოს ცხოვრებისა-თჳს. . . . . . . . დ. მ.
VI. — სხუა და სხუა ამბავი. (ნახ. მეორე გვერდ.)

ტფილისი.

ჰერმხელიძის ტიპოგრაფიაში.

330

# ცისკარი

# ცისკარი

## ქართული

სალიტერატურო ჟურნალი

გამოცემის ი. კერესელიძის-მიერ

---

ტომი პირველი

---

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

1859

Печатать Позволяется. Января 5 дня, 1859 года.
Испр. должн. Груз. Ценсора Св. Алексѣевъ.

ცისკარი 1859. №1

თარგ. ილ. ჭავჭ.

## ბედი მქადაგებელი.

(გ ე ტ ე ს ი)

---

იყო საღამო, სხივნი მზისანი
გარდმოშლილი იყვნენ მთისა წვერალზედ,
დაშვებული მზისგან ჩრდილნი ხისანი
გატყორცილი იყვნენ გრძლათა მიწაზედ;
ყრუთ იყვნენ ველნი, ველურათ ტყენი,
სრულიად ჩუმობდა გარშემო არე,
სადგომს არიან ფარული ფრინველნი
და რაღაც მილიში არს არე-მარე.
ხოლოთა ფიჭვნი დიდ-ხნის მცხოვრებნი
ნელის ქარითა მლივს ირხეოდნენ,
ჭალარათ ქმნილნი დიდრონნი კლდენი
მოსილნი გინვლით გარდმოშვენოდნენ.

მინდობილი ყრმაზედ უძლიერ ჯელითა,
ქარით დაჭმუჭვნილი სამოსელითა,

უდაბურს ბილიკს შიშველის ფეხით,
გარიყულს გზაზედ კანკალით, რხევით
ვიდოდა მძიმედ, ჩაფიქრებული
ბრმათ ქმნილი ბედა მოხუცებული.
გარნა ყრმა იგი, მის წინამძღვარი
იმალა, კენკართ სურს გემოვნება,
თუ ბედა ჰყვანდა მოსატყუარი?
,,მოხუცო! ჰრქუა მან, მსურს მოხვენება!
მე შევისვენებ, გრძელ გზითა მალომწყუდ
და. თუ გსურს, იწყე შენ ქადაგება!
მაღლობით გნახეს მრავალთა მწყემსთა
და აგერ ხალხიც გზაზედ, გროვდება,
აგერ შვილებით თვით დედანი,
უთხარ მათ, ღმრთისა ჩუენის დიდება
ჯუარცმულის მის ძის, ვინცა ტანჯვანი
ჩუენის ცოდვის თჳს ნებით ინება.“

მყისვე სიწმინდით ზენარის მადლით
მოხუცსა სახე გამოუბრწყინდა;
ძლიერის სიტყვით და ჴმითა მაღლით
ზეციერს ჰაზრსა ნათლად ხატავდა,
და, როგორც წყარო ქუათა მარღვისა
აღმომხეთქელი, გამაძღობელი,
ზვირთნი ცოცხლათა სიტყვის მადლისა
მის ბაგით იყო გადმოძღენელი.
ზეგარდამოჲს — შთაგონებითა
სადაც დიდებით მოხსენებითა

სიტყვა სიტყვაზე იყო მდინარი.
ყოვლითურთ მის მზგავსი სიტყვა არ არი!
თითქო იმ მოხუცს ამ დროს დიდებით
თვალთ წინ წარუდგა და თჳს მშვენებით,
ჴელითა ცახცახით და მოწიწებით
ზე აღმართა, მის თეთრსა თმასა
ცელქი ნიავი ალერსით ჰმრავდა,
ცისკენ პირ ექნა მის გამქრალ თვალსა
თითქო სინათლე ხელახლად იქ აქვნდა;
გამქრალ თვალთაგან ცრემლნი ჰსცვიოდნენ-
ცრემლნი სიწმინდის გარ მოჰსცვიოდნენ...

ჩასვენდა მზეცა ყვითლად მღვიმარე,
მწუხრის სიგრილემ ხეობას ჰბერა;
მოწმენდილს ცაზედ მოხსლტოდა მთვარე
და თჳს მცხრალი სხივით მთათა დასცქეროდა.
ჰქადაგობს ბედა და მოესმა ჴმა...
სიცილით, ჴელი კვრით ეტყოდა მას ყრმა:
მყოფნის!... წარვიდეთ!... აღარვინ არ არს!
მზის მაგიერათ ვსჭვრეტთ მთვარესა მცხრალს.
დადუმდა ბედა თავ-ჩაღუნული
გზას განემართა შეწუხებული;
დადუმდა რა ის, კიდით კიდამდინ
ქჳანი მისძახდენ პასუხათ: ,,ამინ!“

თ. ილია ჭავჭავაძე.

1858 წ.
მარიამობის-თვის 25-სა.
ს.-პეტერბურღს.

## ჩემს ვენერას!

განცვიფრებით გჭვრეტ აღშფოთებული
შვენების ღმერთო, ჩემო ვენერა!
სადა იშევი? სად ხარ გაზდილი?
მსურს, რომ შევიტყო? ვერ გავიგე რა!

ეგებ ზეცით ხარ მოვლინებული,
მოშორებიხარ ცისა არესა?
ანუ ედემს ხარ აღყვავებული,
მაგრამ რა გინდა ჩჳენსა მხარესა?

ნუ თუ ბედით ხარ მოვლინებული,
დიდი ხანია რომელიც მდევნის?
და შენით მოსწყლოს სურს ჩემი გული,
გამოუცდელი არა დიდის ხნის?

სწორეთ ასეა! ეს უფრო მჯერა!
მოჩვენება ხარ სწორეთ ნამდვილი,
ვგრძნობდი, ბედისგან ასე მეწერა:
უყვავილოვანთ წელით ტანჯვით სიკვდილი!

მაგრამ სიკვდილსა მე არ უწოდებ,
შენთვს სიკვდილსა, ჩემო ვენერა!
სანამ ცოცხალივარ, შენთვსა ვგოდებ,
შენ დაგეტრფია და შენთვს მღერა!

# ლ ე ქ ს ე ბ ი.

და როს მოვკჳდები დავენაცვლები,
შენის ჴელითა მიწა მაყარე,
უგრძნობს მიჩვენე შავი თვალები
და ცოცხალ-ტანჯული მკჳდარი მახარე.

წ.

1858-სა წელსა დეკემბრის 20-სა დღესა ქ. ქუთაისს.

---

## ჩემს ძმას გ.

---

იდეებო სოფლის გამოხატვის ფრთითა
მფრინავო,
იყავ კმაყოფილი მაღალი გრძნობით იხარე ძმაო,
ვის მალყუძს სოფლის და დიდ საგანთ ცნობა
საქმათ,
მისთჳს წარსულითა დროთა გლოვა არის ამაო!

შენებო ჭაბუკნი სხჳანი ჯერეთ უცნობნი
სოფლის,
ვით მცირე ყრმანი უმეცარნი უგრძნობნი
ყოვლის,
აზრობენ მხოლოდ დრონი შვების მალიად
გავლის,
და მხცოვანება შექმნებად მიზეზად ჰსწავლის.

შენ მით სრულიად განესხვავე გონიერებით,
თჳთ ბუნებამან აღგამაღლა ნიჭიერებით,
მანვე შეგმოსა საკჳრველის ჰშუენიერებით,
გმართებს იშვებდე ესოდენის ბედნიერებით.

კნიაჟნა. ეკ. ერის-თავისა.

---

## ქალისა ყუფათადმი.

---

ოდეს მეფემან თჳსს მაგიერად,
ანუ თუ დრომან გყოს შენ მლიერად,
მაშინ გმართებს შენ სლვა გონიერად:
ნუ თუ ვინ გპოვოს, გული მანკიერად
საქმეთა მყოფი ბოროტ ცბიერად,
მართალით მტანჯავი, ჰავთ მაგიერად,
და მომხუეჭ ოდენ ქუეყანიერად,
არამედ ეგე ღირს, მეცნიერად,
საქმეთა მსჯელი გულის ხმიერად
კეთილთ მფარუელი სწორ წადიერად.
პატიჳთ წარმათქმელ გულ ლმობიერად,
სოფლის მომგონე წყუთ ყამიერად,
ყურცხუენელ სიტყვის მგზე ზეციერად
და ნაცვლად მოხავთ კეთილთ ციერად.
თ. ირაკლი ლორთქიფანიძე.
10-სა მაისს. 1856 წელსა. ქვაშიხორს.

---

## წ ა დ ი ლ ი.

---

წალკოტი მომცა ყვავილით სავსე ჲ
შადრევანი ტყუროვა, მდიდარი,
არ იცოს სიცხე, არცა სიცივე, არც წჳმა,
თოვლი, არც სცემდეს ქარი,
შიგან კეკლუცი შუქ-მოიევე, ხარობდეს
ვითა ზაფხულის დარი,
გულისა დარდის მეიავარე, ახლდეს წყობილი
ინდოთა ჯარი!

იქა მონანი ათასნი ყრმანი მახლოდნენ, მკერდ
სირმა კაბაიანნი,
კოლხიდის კრავნი, ოქრო-თმიანნი, ბრჩხილო-
ნი ჲ რქანი, ფეირუზიანნი,
კეკლუცნი ქალნი, მორთულნი მვიროვასნი, პირ
მზე მცინარნი ალმასიანნი,
მოთამაშენი, მოკამათენი, მეწინწილენი,
კეთილ-ხმიანნი! —

### რა გამოვა?

წყალი დამარჩობს, ცეცხლიცა დამწვამს,
გზა დამღალავს ჲ ტყვია გამმარავს,
ჰაერი მარჩობს, ჴრმალი შუა მჭრის, ისა-
რი მამკლავს, ქჳა გამიტეხს თავს,

სიცხე ციებას, სიცივე ვნებას, ნელი-ნელი წყუ-
თიც სიცოცხლეს მპარავს,
მატლიც ხომ შემჭამს, რას ვიგდებ მე თავს?
ღმერთო შეგცოდე, დუმილი ჰსჯობს თქმას!.

კოლხიდელი.

---

## დაჳყუმნება ტფილისისა.

---

გორგასლიან მეფე ქართლისა, მოვალს ქარ-
თლიითგან ქადილით,
თან მოსდევს ჯარი წყობილი, იარი, იარა-
ლის ზახილით.
ხეობა მტკვრისა გამოვლით, გარსა ლილინით
მოსდებენ,
ჭაობი, ლელო, თუ ველი, ზანხა ერთობით
მოსცემენ.
წინათ მოუძღვის დესპანი, ჴელით მშვილდი
ისართა ჰყრობელი:
»მე მეფსა მოვკლავ, შევიპყრობ« ზოგია
ამის მხმობელი.
ჰსჩანს ბატონს მოსყურვებია, გამონადირვა
მყუნ, სადა
ჯერ ვერა რომელს ხორციელს კაცს გაუ-
ვლია ვერადა;

მოადგა ალაგს მას, რომელს აწ უზახიან ვერასა,
და რა იხილეს ეს მხარე უმეტეს მოჰყვნენ მღერასა.
მარჯვნით მთა, მაზედ მუხანი ნარნარად აღყვავდებოდენ,
ნარნარად ფერად ვერცხლისა, წყარონი ჩუმ-დინარობდენ,
მარცხნივ ტყე, თვალით უწდომი საამოდ იხილვებოდა,
მხოლოდ უდაბნო ანტონის სალრმთოს ძლით მოიცინოდა,
ტყე, საშინელი, უვალი, შავად წინ მოეგებოდა,
და მტკვარი მასში ზუტზუტით სითვანლაც ეშურვებოდა!
ნახა, და მაშის განკვრდა, მეფე ღუთისაგან ცხებული,
სპათ შეუზახა: მოყმენო! მოიღეთ მშვილდნი ლესული.
აქ შეგვიძლიან დავხოცოთ კარჯუარ, ირემი და შველი,
ვინადგან ფეხი კაცისა ჯერ, არსითა აქა მომხვლელი.
ეს ზმანა, მოყმეთ, მსწრაფლ ცხენთა, დეზი სასტიკად შემოჰკრეს
და განუვალი ტყე ესე ნადირობითა შემოვლეს.

სადა დახოცეს ირემი, სად თხა, ქურციკი მხლტომელი,
სად ჯეირანი, კანჯარი ანგარიშ მიუწდომელი!
რა მოიღალნენ ყოველნი, მომწვანოს კორდსა გარდახდენ,
დასცეს კარავნი მონათა, რომელნი უხვად თან ახლდენ.
აქ შექნეს ლხინი, შექცევა, მონადირეთა მხლებელთა,
ბუკსა უკვრიდენ, წინწილთა, ჟივჟივი აქვნდათ ყოველთა,
ესეც მოჰსწყინდა რა მეფეს, გამოხდა, კარვით გარეთა,
კმაყოფილებით უმზერდა ამა უცხოთა მხარეთა.
წყარო იხილა ერთ ალაგს, ფერითა განსაკჳრველი,
და ესე გვარი ნახვაჲ, მისთჳსა იყო პირველი.
მივიდა, ნახა, კლდეთ შორის საამოდ აღმომჩქეფარე,
ორთქლსა სასტიკად მოეცო იგი მიდამო და არე.
განკჳრვებამან მოიცო, მეფე ფიქრს შიგან შესული,
ვინა მიხვდების მეფის აზრს ოდეს არს დაფიქრებული?

მოყმეთ იხილეს ბატონი, წყაროს წინ ესრედ მდგომარედ,
მივიდნენ, გარნა ვერ ჰკადრეს, შორით უმზერდენ მდუმარედ,
რა ყუჯუნ იქცა გორგასლიან, ერთგულით მუნ მეფოვეთა უბმანა:
„უსაკვირველეს ამაზე უხილავს რომელს თქუენგანა?
ეს მშუენიერი ხეობა, ტყე, მტკვარი, წყარო მდინარე,
ეს ტფილი წყალი ბუნებით კლდეთ შორის ამომდინარე,
გარს სანადირო უცხო ლრე, მეტად მომწონი ალაგი,
ვფიქრობ რომ გადმოვიტანო აქ ჩუენი მცხეთა ქალაქი'...
ეს ჰსთქუა და განვლეს მრავალთ წელთ, არღა მას ალაგს ტყის კვალი,
მართლად აღშენდა ქალაქი სცხოვრებს მუნ კაცი მრავალი,
აქ მშუენიერი სასახლე ტყურივა და მეტად მაღალი,
იქ ხეივანი, ქუაშლილი, ზედ ხშირად ხეხი მაღალი!
დრო ტყეს გარდაქცევს ქალაქად, ესე ეხე სოფელი.

ჭ ხედ ყოველიდ პალატში იქა თხა არის მშო-
ველი!...

ი. კერესელიძე.

---

## კვალად-ლხინი. (*)

---

ყანწ'ი მიზოძე ციმ-ციმით სავსე,
მზით ჰზმანდებოდე, მოვდივარ 'შენთან!
მორჩი დალიე — ნუ დაანავსე,
რომ გამოსცალო მოდი 'შენც ჩემთან!

აჰა ქართულათ, მამა-პაპურათ,
მრავალ-ჟამიერ, დავძახოთ ტკბილათ!
გინდა ჩონგური, გინდ მოძახილი,
რაც 'შემოვსძახოთ ყველაა — ლხინი!

ლხინი, რა ლხინი? ეს რა ლხინია?
ოდეს ყანწები, არ გვეპყრას ჴელთა!
რათ ჰქმნებიან კმაყოფილნია,
თუ არ მოვალხენთ ჩვენდამო მზერითა!

---

(*) პირველი ლხინი დაბეჭდილი იყო, წარსულის წლის მეათეს «ცისკრის» ნომერში. რ.

მიწოდე ყანწი, რათ მინდა ჭიქა,
გატყდეს, ვემებდე, მე აქა-იქა!
ვიდრე მე ამის მეზნას მოვრჩები,
ვჰგონებ ჭკვიდამაც სრულებ-შევცდები.

მაგრამ ეს ჩუენი ქართული ყანწი,
რამთენიც გინდა ასწი ჲ ასწი!
ვითომც გაგიტყდეს! შენ არ მამიკვდე
ოღონდ უზმანე: ბიჭო! დაასხი! —

მიყვარს ამ გვარათ, სუფრა გაშლილი,
ზედან მოლხენა, გული-გაღეღილი!
ცხელი-ცხელი მწვადი, დანით მოთლილი,
იქვე მიწოლა ჲ იქვე ძილი!

მეტადრე მაშინ, ოდეს გონება,
მარტივათ ლხინსა დაემონება!
თუ შეჰსწევს მასთან თავისუფლება,
ლხინი მარად-ჟამ, ასე იქნება!

თუ სამღუდელონიც, მოჰსთქმენ გალობას,
ჲ ადიდებენ იესოს-შობას!
მაშინ უყურეთ თქუენ ჩემსა გრძნობას,
ვაჟ-კაცურს გულსა ჲ მამაცობას!

რა რიგათ მყისვე, კელადა სველი,

ჩუენს დეკანოზსა, კრძალვით მივართვა
ჵ ამ დროს თუ, რომ შუბლიც მაქჳს ცხე-
ლი,
მილის პირები მეცა წარმოვსთქვა.—

დ. ბერიევი.

27-ს დეკემბერსა. 1858 წელსა.

---

## დიდი პარასკევი.

---

ურიათ ვის აღუმართეს ჯვარად ძელი!!!...
დღეს დადუმდა ღმერთი — კაცი ღუთად მეც-
ეუჭული!...
განსკდნენ კლდენი!... განიპო კრეტსაბმელი!...
აღდგნენ მკუდარნი!... იგლოვს თჳთ მზეცა
ბნელი!..

ღმერთმან თავი მოიხარი სიკვდილად:
განშორდა, ჴორცს მიეწყრა ღრმად ძილად;
ჯოჯოხეთად შთახდა უკუნს-უფსკრულად
დღეს ვსტირით მისნი, ვიგლოვთ მოსავნი
სრულად...

შეველ მტილსა მგლოვარებით დამშჳრალი,

ჩად სიმწუხრე, ვნახე, დაზრული — გამქრა-
ლის;
მზის ნაცვლად მთჳარე იდგა დამცხრალი.
დავფიქრდი. მყნ, სევდამ მძოვა გამშრალი...

რიყრაყს, ვსჭჳრეტდი, განვიცადე ნეტარა?
ველის მაისი კჳლავ მანტიად ეფარა;
მას კჳლავ ტყუროვა ედემი დაემყარა,
ჯერემლუვობდი სიხარულით აღმხმელი!...

ისარნი წყვლად განაზნივა მძინარემ;
განიღვიძა განვფანათლა მღიმარემ;
აღსდგა მკჳდრეთით, იგრძნა ყოველმა არემ,
ჯოჯოხეთის და სიკვდილის მძლეველი!
ურიათ ვის აღუმართეს ჯვრადმელი!!...

თ. დავით მაჩაბელი.

## ჩემი გული.

---

ოჰ! სიკო? სადა ხარ? რამდენი წელიწადია რაც აღარ მინახვიხარ. მე თუმცა ბევრ-ჯერ დავაპირე შენთან წიგნის მოწერა და მსურდა შემესმინა შენთჳს აქაური ამბავი, გარნა მომიტევე ძმაო, რადგან მე არა ვარ არცა პოეტი და არცა ლიტერატორი რომ ცხადად და სასიამოვნოდ გამომეხატა ყოვე-ლივე ნახული ჩემ მიერ აქა შესანიშნავი საგანი. მის მიზეზისაგამო ვეღარ გამოველაპარაკე და აწ ვმადლობ ღმერთსა რომ კიდევ ერთად შევიყარენით. წავიდეთ შინა და დავსტკბეთ ჩუეულებრივ მეგობრულის საუ-ბრითა

ეგ არის შაშო შენი ამდენი ხნის წიგნის მოუწერლობის ბოდიში? მეტყოდა სიკო.

რა საჭიროა რომ შენი წიგნი ჩემთან პოე-ზიურს აზრზედ არ იყოს დაწერილი. ყოვლად მიკვირს შენგან რომ მაგას ამბობ. ვსთქვათ ლიტერატურაში იყო, რას დასწერ მისთანას რომ ჭეშმარიტად გააკვირვო და ან რას იტყვი მისთანას რომ შენგან კიდე არავის ეთქვას. დაიჯერე, ცუდად შერცხვიან ზოგნი-ერთნი მწერალნი რომ შეიძლიან მისთანა თხზულებე-თის საქმეში, რომლისათვის ხანდახან მო-ვსლა გამოდიან და რომელსაც ნაყოფსა თვითონაც მოიგსლა საქონლებსა. ბევრი ყოფილა მოლოდ-სენი და მოამბენი უშმაბნიდ წარსულთა საუკუნეთა, გარნა გაიწმინდეს არცა ერთსა მათგანსა ახალი სიტყვა არ დაუბადებია, რომელთა წინათაც არ ყოფილიყოს ნათქვამი, თორემ თუ ყველა მწერალს თავ-თავისთავს ეწერა, მისი დაწერილი მისდა მხოლოდ გასა-გონად დამთეხოდა და თუ კი ჩვენც გავი-გონებდით მათ მოლოდქსედ საუკუნეთა, სჩანს წინათაც ყოფილან იგი სიტყვანი ნათქვამნი. რასაკვირველია ეს კია რომ ყველა კაცს ერთი ტალანტი არა აქვს. ზოგი ყოსხოს და სასიამოვნოს ლექსებით გამოხატავს საგანსა და ზოგი მოამქონოობს. მე ხომ ცენზორი არა ვიყავ მაშ, რომ არ დამებეჭდა შენი წიგნი, რაზედ შიშობდი? მაგრამ ნათქვამია: რამდე-ნაც თვალი შორსაა იმდენი გულიც შორ-

ხოლო. მეც კი მაქუს დანაშაული შენთან, რომ აქამდენ ვეღარც მე მოგწერე. ეჰ ძმაო! ჩემი გული ასეთ ჭირის ბადეში გდება, რომ თავის თავიც აღარ ახსოვს...ხა! ხა! ხა! რა ამბავია სიკო? ეგ არის და, ეგ ყვერო მიკლავს გულსა, ვისაც შევჩივი ჩემს მწუხარებას, სიცილით არ მკმარიათ, რასაკვირველია გაიცინებთ, მე გული მეწვის და თქუენ გელითა და ყოველივე ჩემი ნათქვამი ცივად გჩანთ.. რა ამბავი სიკო? სთქვ შენ გარდასრად მიიღე ჩემი სიცილი საწყენად? მე ხომ კარგად მიცნობ იშვიათი სიცილი ვიცი. ვ ა რ ნ ა ვ ი ც ი ნ ი მ ა შ ი ნ, ო დ ე ს ც ა მ ნ ე ბ ა ვ ს. მითხარ შენ გარდას, შენ როგორც გეტყობა არშიყი ვინმე შეყმნილხარ, რომ აგრე გულმტკივნეულად ლაპარაკობ და შენი სახის დამშვიდებაც ამტკიცებს რომ შორს ფრინავს შენი აზრი.. მართლიად შაშო. მკითხავად გამოდგები, მეტად შემატყე. ვარ ერთის პირის არშიყი და აღარა აქუს გულსა სიმშვიდე და ღელავს იგი მგზავსად განრისხებულის ზღვისა... ხა!ხა! ხა! აი! აგი გითხარ, კიდევ დაიწყე ხარხარი? ჭეშმარიტად უგრძნობ კაცთან ლაპარაკი და ქალის ჰყრობა ორივ ერთია. ჩემდა საწყუხაროდ უნდა გითხრა ძმაო შაშო, რომ, რომლის კაცის მხრები შენახანა უგრძნობ

თავს ზიდავს, სწორედ იგი მიემგზავსება ჩარ-
ვადრის ცხენსა, რომელსა ტომრები გავსილის
შილიით ჰკიდია და ზიდავს ჰპატრონის ჯოხის
შემწეობით. მშვიდობით ძმაო, შენშიაც
მოვტყუვდი სომხისა არ იყოს.

დაჯექ, დაჯექ. ნუ სჯავრობ შენ გარ-
დას სივო. რადგან სომეხი მომაგონე, წუ-
ხელ სომხის ქორწილში ვიყავ და გიამბობ
იმათ წესსა. თუ მიჯნური ხარ გესიამოვნება
სხვა და სხვა ამბავი. გამიშვი თუ გიყვარდე
შაშო. ჩემს გულში, იმდენი ალაგი სადღაა
რომ სხვა და სხვა ამბები დაეტიოს. რაში
მეპრიანება სომხის ქორწილი და მათი წესი.
მე ისეთი ამბავი მინდა, რომელმაც ჩემს შე-
მსჭვალულს გულს შვება მისცეს, მარამ
რადგან არ დაგიშლია სთქვ, მევების მართლად
გავერთო აი გეტყვ:

წუხელ ღამ ერთს ჩემთ მეცნობთაგანს,
კაცი ეგზავნა ჩემთან და შემოეთვალა, ძმაო
შაშო! ამაღამ ჩემთან მოდი და ჩემი ბედნიე-
რება ნახეო. მე ცოტად შემიგვიანდა მიზე-
ზისაგამო, მარამ მაინც კარგს დროს მივედი.
ის იყო ტერტერა იდგა და უკურთხავდა ქვევეს
ტანისამოსს. რა გაათავა, შევმოსეთ ქვევე
ნაკურთხის ტანისამოსით და გამოვემართენით
სასძლოსთან, — გავგზავნეთცა ალაგი წინად,
მივედით, სახლი დაგვხვდა უცხოდ სალიჩა-

ქუჩებით მოფენილი და მრავალნი აღნთებუ-ლნი სანთელნი განანათლებდენ სასახლისა მის-დღეებრ. ყმაწვილნი ქალნი, მდიდრად დარ-თულნი, ჯერ-ჯერად თამაშობდენ მორზა-ისა. ფერფერამ მეფე-დედოფალის მფარველი ლოცვანი წაუკითხა, მეფე ჩუმნათან გამოვი-და და ქალითა ისევე იწყეს თამაშობა, მარამ სწორე გითხრო მზარ, რაც იმათ ხვეწნა ნდო-მებიათ, ის მორზაია იმათ არა ღირს. ჯერ ერთი ესა რომ კაცი ვერ სთხოვს ქალსა თამაშობას, იმათში უჯერობაა. იქ არის ხნიანი დედაკაცი, ის გამოიყვანს სასახლიდამ ქალსა სათამაშოდ, მარამ საშინლად ბევრი ხანი გადის. ჯერ მოთამაშე უცქერობს და იძახის: „ჩემ კარა მერ არევკიანასენმ? ჩემ კარა!“ არ შემიძლიან თქუენმა მზემ, რა ვქნა არ შე-მიძლიანო. რა დაიყოლიებენ, დასდგებას თამაშო-ალაგს, უნდა გახადონ ქათიბი, ლეჩაქი და კაბის კალთები უნდა გაუსწორონ და შემდეგ დაუკრან სათამაშო ხმა მორზაიასა. რა გამოვა მოთამაშე, ალიცანს ორთავ მკლავებთა დაწვით ზარის-ზარი, განივლის მფარე ალაგს წყნარის ტანის მოძრაობით და ჭელითა გადაცან გარ-მოცანით, შემობრუნდება უკანვე ამავე წე-სით. სოლო მერმეს და შესამე განვლაზე უმეტეს აჩქარდება და მკლავთაც სხუა განწე-სებას მისცემს, ერთით დაინჯ შემოიყრის

და მეორეს ათამაშებს, ვინც როგორი იხმა-რებს ყურით მოსასმენად, გარნა კარგ მოთამა-შედ მას უწოდებენ, ვინც ყველა სხეულის ხმარობს და ათამაშებს, მარამ სწორე გითხრა ყმაწვილი ქალისათვს... მისი ყურები... არ ვიცი....

ამ გვარად მომაცებული ნაწილად და თითქ-მის სრულიადაც თათრის ქალები თამაშობენ, რომელთ შიაც გვერდების აწევ-დაწევა თამაშობს პირველის როლის, მარამ როგორც ვსთქვ თუ უყურებს ყმაწვილი ქალი... ამ თამა-შობას ჰქვან ჩუსტარი.

ამის შემდგომად შემოიტანეს მეფესაგან გამოზავნილი ალოვი, დიდი ხონჩა იყო და ზედ ეწ-ყო ალისფერი ხავერდის ქათიბა, სინჯაფით სავ-სე და უცხოდ ჩაფრასტით, კაბა თეთრის ატლასისა და მეორე ჩალისფერის გლასისა, პერანგი გლასისავე ზედ გამოჭრილის ნაკერის ოქრო-მკედის გულისპირითა, ჩიქილა ბაშმაკი და საათი ოქროსი შესაფერის წმინდის მეწ-ვითა.

შემოეხვივნენ დედაკაცნი და თვითოეულად გასინჯეს, დია უწონებდენ სიმეს მოსავი-თსა. ხოლო პატარძალი კუნჭულში იდგა და მყნით თვალი მოფარვით იმზირებოდა. რა ყველამ ნახეს, წარსდგა ტერტერა და მათის წესისამებრ აკურთხა ტანისამოსი ესე, და რა

ჭაათავა, გამოვიდა ჩუენთან და თანავე კარნიცა გამოიხურნა. მე თუცა ისევე ვავალე და ვიყურებდი, მაგრამ დედაკაცმა ვინმე შემომძახა: ნუ იყურები ძმაო, ეხლა, კაცის თვალი წინააღმდეგია ჩუენთვისაო და მოხურა კვალადვე კარი. თურმე ესეც წესი ყოფილა ამათი, რომ მათ დედაკაცთ თანადასწრებით ერთი მათგანი გაჰდის პატარძლისა ტანსა, ჩააცმევს ამ მეფის გამოგზავნილს და ტერტერის ნაკურთხს ახალს ტანისამოსსა, ეგრეთვე თავს დახურვენ ზევრის თვალის შემწეობით და ამისათვის ჩამცმელი მიიღებს შეძლებისამებრ მეჯვარისა ფულისა. მოირჩნენ რა ამასაც, განაღებს დახშული კარნი, შეიყვანებს მეფე და მოუყენებს მორთულს პატარძალსა. მცირე ლოცვები კიდევ წაუკითხა ტერტერამ და წაიყვანეს ჯვარის წერად საყდარში. გავყევით ჩუენცა. რა შევიდნენ, ერთმან ტერტერამ მეფეს და მეორემ პატარძალს ათქმევინეს აღსარება, შემდგომად დააყენეს და წესისამებრ დასწერეს ჯვარი, მერე მოიტანა ტერტერამ ორფერი ზონარი მწვანე და ალისფერი, ჩამოჰკიდა პატარძალს ყელზედ და ორნივ გახსნილნი წვერნი ზონრისა, დაბეჭდა წმინდა სანთელითა, დალოცა და ჩუენცა მივულოცეთ და წამოვიყვანეთ დედოფლისავე სახლში.

რასაკჳრველია პატარძალი რომ ყოფილიყო მდაბალი კაცის სახლიდამ, რა მოვიდოდნენ შინა, უნდა დაეყენებინათ კარებში და ვისაც რა შესაწევარი ჰქონოდა, პატარძალისათჳს თავზედ დაეწყოთ, მარამ, რადგან სასძლო კარგის სახლიდამ იყო, ამისათჳს ეს ჩჳეულება მაზედ აღარ აასრულეს. შეიყვანეს შინა, დალოცეს ქალისიმე,-აგრეთვე მახლობელთა ნათესავთა, ვახშამს გიახელით და დავიშალენით ჩუჱნ ჩუჱნადორა მოვველი, ჩემს გამდელს ისევ ეღვიძა; სანთელის უკანასკნელი პატრუქილა შერჩომოდა, რომლის სინათლესა აჰყვებოდა ბოლი, ფეხის ხმაზედ მიცნა და შემომხედა, როგორ ისიამოვნე საცოცხლე? ვერავარად, თითქმის ისევ მშიერი ვარ მეთქი. უიმე შვილო! ქორწილიდამ კაცი მშიერი, განა მოვაო? ქორწილი ჩუჱნებურად წითელი ჯამის ტრიალი იქმნებოდა და ან მასპინძელი ძალიან დაგატანს დალიეო. ერთის ბოკალუკა ღვინოს დაგიდგავს, თუ შენ არ ეცადე ხმას არ გაგცემს. ჰო! მე შემიყვანე მაგისთანა ქორწილში, ეტყოდა სავო! ეგ სულ ყველა კარგი, მარამ ერთი ეს მითხარ შენ გარდას შაშო? ის ზორნყბით დაბეჭვდა ქალისა, რასა ნიშნავს? ეგ იმას ნიშნავს სავო, რომ ქალწულია და მეფე სამდღემდის არ უნდა შეეხოს მას.

მაგისა რა მოგახსენო. აი, მე რამდენი ამბავი გიამბე სიკო, აბა ახლა შენ მითხარ: რომელის ჭმუნვის ბადეშია შენი გული გაბმული? არა გასმია, ჭკუა კარგია, გარნა ერთი უმჯობესიაო, იქმნება მეც მოვხმარდე, რა გითხრა ძმაო, შენ ისევ ხარხარს მოჰყვები ჰა! უნდა გითხრა რომ უმჯობესია მე შევხვდე მკვლელი დანას, ვიდრე მოცინარს ვისმე, მაშინ ოდესაც ვისმე შევჩივი ჩემს ნაღველის, — და ამისათჳს გთხოვ, თუ გაყვარდე, ყური დამიგდე და თუ წამალი დაებოდეს რამე ჩემს სენსა მანუგეშე იმედიანის სიტყვებით.

მე ხომ კარგად მიცნობ, სიყრმიდამ აქამდენ გაუზედავი და გამოუცდელი ვარ და ესეც იცი, რომ ჩემი მიჯნური დიდხანს იტანჯვის. ოხ! მიჯნურობავ, შე წყეულო! ვიდევ მომაგონდი? ვსწყევ ზედსა ჩემსა რომ შემთიცხა მეცა შენდა თაყვანის საცემლად. მე რა ვიცოდი თუ შენსა ზრწყალებსა ისეთი ძალი ექმნებოდა! რა გულსა ჩაჰკიდებდი, ვით კაკაბი ქორის ჭანგთაგან, ველარ იხსნებოდა. დია გული ცივად ვიცინოდი ჩემი მეგობრებზედ, რომელთა გული დაემონებიან მათდა სატრფოთათჳს და ვიტყოდი: ვით შესაძლო არს ამდენი კაცის გული ისე დამდაბლდეს და დაბუნდეს, რომ სიყვარული-

საჯუს არ დაარიდოს მან თავი თვისი; არცა მეზვრეობისა ალისა და არცა მეუფრთქილისა მისგა-ლისა. ეხლა კი მოჭრამს; ეხლა კი დავეჭვემ-შარიცე, რომ გული ჩემი იმოვის ნაწილ-ნაწილად, თვალნი ჩემნი მას მხოლოდ უცქე-რიან, წამწამნი უმახიან და სული სულის მისი მოსვენება.

თოკუ აყოლ მიასობისა. სულინდალიანნი ბუჩქნი შლიდენ თვისთა ფურცელთა. ფერადნელნი ყვა-ვებოდნენ მოხდილისა ბუდეთა აღსავსელად და ნადირნი ეტყდებოდენ ზვერისა და მიდიოდენ მათ. ამ მეწვრილის თავს სადილოს გავეცი სასერინად, ვიმეხბდი შეზავებულის ჰაერით შეღით შრიალი და მოხვედ ფრინველთა სადი-მოს გალობა, მიმეცემდა სიცოცხლესა. უეცა-სვნელო მხის სხივსა მორის დასავლეთი გამ-ნათლებანა და ალმოსავლეთით შემოსდა ბინდი. დავბრუნდი რა შინათვე, ვნახე ერთ ეზოსა კარსა, ერთი უებრო ქალი მიჰყვებოდა და მის-ლოლბლად ალუვის ხესა ასეთი ვარდით უყვა-რებს, რომ იავ ასლოს მდგომარე, ვერ შემ-ნიშნა მე. ჰა მმარ, შენი თქმისა არ იყოს, მე რომ სიცოცხლე ვიყო კარგად ალვი-წყერდი მისსა სამ მეწინდრესა და მისი ჩემსა საყვარსეთი ჩავარდნასა, სოლო ვინანი რომ მე არა მაქვს ის ნიჭი, — მარამ რა საჭიროა სიცოცხლე, დამწვარი გული სიყვა-

რუსულისაგან ლიტერატურაც ყოველივე და მო-
ჰტაცა. მისი სიჩქარე სული მოვხარ!...

ძლივლივ ბავშვი მისხა მემკვიდრეობისა,
ვისი და გულისწადილი რომ მისი ძმა სცნობნა ყო-
ფილიყვნენ, რადგან და ბატონი უმეცრებ ჭკვის
ნახავდნენ. სიმშვიდეშ გამქარი ას ქალი ამ
მოშორებული სხვა, წასვლის დროს ყოფა მე-
ისრო და ვით დამორჩილებული ხოხობი, — მშვიდი
საზოგადოს. მეც მოვშორდი ამ ადგილს, რომ
მებრძოლიყო გულისსაშვენ ჩემისა, მაგრამ მისი
და დამწყლე გულიდან ისევ ვერსად წავე, და-
ვაბრუნე წასვლის ფიქრი იმავე ადგილს და მენახა
ის ქალი, რომლისთვისაც ყოველი მეწყინებისა
მიფრო და იქ გამეფო. ვერნა ამ დროის მე-
მოვიდა ჩემი ვანდე, ცოლ-ქალიშვილს ცხოვრებისა
ამოსვლიდან და ცოდნად ვენახის თითქმის. ყუ-
ნდა, ყველა მოიწყინა და ბედიდა მოეცა, მეუ-
ღლებისა სახლისა: «სულით ბედში სადილი ბეჭედ
და რომლებიდამ ჩამწვდარი ქალის და ჩვენ
მეუღლეებიან, უმეცარს ვიღაცა ბავშვებმა-
დროის, თუ მეტი აწყობა მეცხ გოგოთების,
შენი თვალის დასაბრუნელი წამოსვლებს, მაგრამ
უმცროს კი ყოფა წავიდეთ.» მე ამ ქალის
ყურად, მადლობისა მოსვლამ, ვთხოვე... გა-
და ესე და დაწყნდე მეცა, დაიხსნა მიხვდა
ვერ დავმისუჭკო თვალით, ეხლა ჩემი აქ იყო
და გული ამ ქალისა. ბოლოთ მთელის ყოფ-

ლოცვიდენ, ხოლო ამას ფიქრში ვიყავ და ას ძიდგა თვალთ წინ. რა მომელოდი გული, ჩამეძინა, ძილში მერცხალთ ჭიკჭიკი შემომესმა, გავახილე თვალები,—იყრაყრაყენა და ციხვარი ახალი განთიად ცაზე, ჩქარის გამვამით, მიეშურებოდა სამყოფად. საჩქაროდ ჩავიცვი, რა გამოველი, ის იყო გრიგოლიც მოდიოდა, მითხრა ვარგს დროს ამდგარხარ. ჩუენ წავიდეთ შევამზადოთ და ასასნიცმოვყენო. ჩემს გულის რა მზადების თავილი ჰქონდა. მე ზალს ჩაუარე. დილა იყო მშუენიერი. მზე ნელიად ალოხდებოდა და მხიარულიად თამაშობდა დილის სხივებითა, მხლებლით მთიებზედ. ხენი ძლივს შეანძრევდენ წვერთა და ყვავილნი, გაიშლებოდენ რა, გამოიცინოდენ შორის დაცრემლოვნულითა ფოთოლითა თვისთა. მე მივჯექ ერთის ხის ძირსა, გული შვათხავად გამახდა და სული მეპასუხედ, და შათმა მხურვალე ლოცვამ, დამვარგვს ღრმა ფიქრში. უცებ სიცილის ხმა მომესმა, შევიხედე და ვნახე რავდენი ყმაწვილი ქალითა ჩაუვლიათ ერთმანეთისათვს ჴელი და მოდიან ხეივანზედ. მე ხოლო ვერ მივხვდი ვინ იყვნენ, ჯერ ისევ დილა მეგონა, დავხედე საათსა პირველი ეწყო, მაშინ მივხვდი რომ ესენიც მოწვეულთ რიცხვისანი არიან. ერთი მათგანი ჩემი მახლობელი ნათესავი

იყო, რა დამინახა, რას დევეხარ მარტო ძმაო? მე ყუმასყურე ალაგს ვარჩევ სად ყვავილი ვარდი დასხსდომოდა მერქ... მეორე ხმამაღლა ვარდი გემოვნება ჰქონია ამ შენს ნათესავს, რომ ვერ დებას სასხლოვრეს ალაგი ამოიყო ჩვეულო. მაგახსნელე და რა დაინახა ჩემი თვალებმა? იგი, ოთხმელიცა გოხნების ვარქოთა აქიმდასცა თვალწინ მიდევე!!! რა გაიხარა ძმაო? და ან რაღაცა ვამიგაიხცა ამშინდელი ჩემი მდგომარობაც? გულიმა დამიწყო საშინელი ცემა, თითქო აწყვდა მოგონდომოდა მას და პირდა ასო შეეჩივლა მახვედვე სასიაკრიც; თავით ფეხამდე დამარბანა ჟრუანტელმა თითქო ვგრძნობდი, რომ თავსა ჩემსა ხელი აღმართეულოდნენ ახალინი თმანი, ზემოთმა ტუჩმა მიწყო კრძალდვით ცანცალი, ენამ ბორძიკობა და ბუხლითა დოკვა! ერთი გვითხა კასუ. თუ რა მგონაველე? და ან რახელ დავივიწყე ასე უწყალოდ? ვინც მანდობდა თვალი წინ ძღვა და შორი გზა შემომხვდოა. და მასწავს არ შეუხედი რომ მგონია? მარამ მრთელი გული ვერ განსჯას აქას, მრთელი გული აროდეს არ ჰგავდება წყლულის გულისა, პირველი დილა ადვილად და გულოვრილად სჯის და ჰვასახობს, ვარნა უვიასხვნელი უმეცრობით და შიში ბრალელდება. ვეტყვი შენა ძმაო დილსის ნათესავსა: მაჯოყრობა მისთანა არის, რომ

უსწავლელის გაასწავლებს და გასწავლულის დაამშვდებს და საკვირველია რაზე ჩამივარდა ენა? არ ვიცი სხვაზედ როგორ მოქმედობს საყვარე-ლი და მეკი რაც ენა არ დამიმოკლია, გაბე-დულობა ვერა მომცარა. რავიენი ფიქრი ერთი მეორის წინააღმდეგი წამომიდგება მაშინ, ოდესცა სატროოს ვინდა შეასმინო შენი მწუხარება, გსურს გამოუცხადო ერთ-გულება და სიყვარული, ჰფიქრობ: ვაი თუ გაწყრეს, ვაითუ გამიცხოს და ვაითუ სამუ-დამოდ მომიშოროს! გიკანკალებს გული, გიშრება ნერწყვი, თითქოს ციების სხაზედ ლოპარაკობ. შემდეგ შემოიკრეფ რის ლო-ნის-ძიებითაც არის განზნდყუთი ძალით და ცდილობ შეურჩიო შენს სატროოს მიხვანა წამი, რომელშიაც მიაყრულებდეს, რომ გა-ბედვით უთხრა «მიყვარხარ!!!» მარამ, არა! ერთი შემოხედვა სატროოსი სრულებით მოგიშლის შენს ახალ დაწყობილს პლანსა, თითქოს მაშინ ის სიტყვა «მიყვარხარ» ენას ისე მძიმედ აწევს, რომ ვერ აუტანია.

გრიგოლის სადილი კი დამავიწყდა. მარამ ჩემი საქმე მას ემგზავსება, ქოსას რომ უთხრა ქალმა. ეგ ზღაპარი ბევრჯელ გამიგონია, სხვა რამ მითხარო, ქოსამ მიუგო: მე ეს მწვავს გულსა და ამას ვამბობო.

უცხო სარაჯი ჰქონდა გრიგოლის საზანდარო

მღეროდა, ჩემი მეორე თარს უკრავდა და ქალნი გრძნობითა ჩვენებდენ თავსა, ნამეტნავად ამ ჩემის ცეცხლის მომდებელის. თვალები ცრემლებით ევსებოდა! ჩემთვის უმეტეს უცხო იყო ეს მეჯლისში, რომ გავიცან ჩემი სულის მხდელი და ორჯელ სამჯერ კიდეც გავიცანი. საღამოს ჟამს ავიშალენით და გავიარეთ ხეივნისაკენ, ვარდნი ადრე გაშლილნი ცვიოდენ შტოთაგან და სადილოთად სხვანი გამოიცქირებოდნენ კოკორთაგან და თითქოს შესცინოდენ ამ ახალ სტუმარს. როცა განვაგრძელეთ, ყველანი თავთავისკვალად ვმასხაყოფილად შევექცენ და დავბრუნდით შინა, გზაზე ჩემმა ნათესავმა ქალმა მითხრა: დღეს როგორღაც შენი სახე მწუხარების ღრუბელისა დაუფარავსო? მე აღარ დაუმალე მიზეზი. დიდად გაიცინა და მითხრა: მაშ შენი და ანა მოგიკვდეს, თუ ეხლავ მკლავ და მკლავ არ გატარებსო! ხომ კარგად იცი, თუ კაცს გაუმხნელიდა დაახლოვება ქალთან, სხვა ქალიცუნდა აშეწიოს, რომ ქალით ქალს მალე მოინადირებს.

მატარო დავიცადე, ეს ქალი გვერთ მომიყენა და მითომ ტუქსვის ხმით მითხრა: არ იცი რომ ახლო ქალების მეფობაო?

— ახლა რა არის მეთქი?

ახლა ისა, რომ ამ ყმაწვილის ქალის გაყ-

გდე მკლავი და შინ მიიყვანე. რუსობაა, კა-ვალიერობა უნდა იცოდეთ.

— თუ კი მექნება ბედნიერება მაგათი ნებადართვისა, დიახ ბატონი ბრძანდები მეთქი. —

მანამ ამ სიტყვას დავასრულებდი, მის ბაგეზედ მცირე ღიმილმა გაირბინა და თანვე გამომიშვირა მკლავი. რა დავხედე მ..სთა ბუდეშ მყრითა ბროლითა თითითა, კნინღა სული ამომხდა. ქალის ზურგსა მარჯვედ ყოვარავდა მშ' ვერცხლისანი ყელში, ოქრომკედ გრეხილი მოვლენებული და მაჯისა ალისფერი ვლისის სახელით, ზანგის-გვარ გაკეთებული. ჩავძა-ხე გულსა: იხარე გატანჯულო გულო! მისი მკლავი მაქვს, ვისთვისაც მოვკვდითავ. ვგონებ ყველა პოლისტერს, მენთვის ეგა სჯობს!!! კიდევ ამოსვალი დისჯილო გუ-ლო?... ჩემი მხიარულება რაღა გითხრა ჩემო, ვგონებდი ცაური მთვარე ქალთა მიმჭერია და ვარსკვლავნი მატიანებზე მეთქი. რა გული დამიმშვიდა ვკითხე:

— დიდი ხანია თქვენ აქ ბრძანდებით მეთქი?

— ორი თვეს იქნებოდა.

— ვეტყობოდა არსად დადიხართ, რომ არ მინახავხართ ამის მეტათა მეთქი?

— მაშ ვერ მიცნობდით აქამდენაო? ღიმილით სთქვა.

სწორედ მოვახსენოთ, ჰაიერ კი არა მქონია

ბედნიერება და შორით კი დიდი ხანია გიცნობთ. თუმცა თქუენის აღურაცხელის ღირსებით სხუათა უწინ თქუენ უნდა გამეცანით.

— თუ ჩემს ცნობას ბედნიერად ხადი, აი, მოხვიდოდე ყოველთვის ჩუენსა და ვიყვნეთ მცნობნი. აი ახლა მივიდეთ სახლი ისწავლე, სადაცა ვზდგევართ და ყოველს დროს შეგიძლიან მოხვიდოდე.

— მე დიდი ხანია თქუენი სახლი ვიცი.

— მართლად? აბა სადეთ არის?

— პირველი ქუჩაზედ, მხარ მარჯვნივ, აქედამ რომ მიბრძანდებით მესამე სახლია. მართალს მოგახსნებთ?

— სწორედ.

— ალვის ხეცა სდგას თქუენს ეზოში. მართალია?

— ჭეშმარიტად.

— თქუენ წუხელი დიდხან უცქეროდით იმ ხეს შეფიქრებულის სახით. არა?

— ოჰო! შენ როგორც გეტყობა კითვალიერებივარ? რასაკვირველია ამ თქმას შესაფერი პასუხი უნდოდა, მარამ ჩემს უბადრუკს გულს ასე ეგონა, მუდამ ეს მკლავზედ მევროდა, ჩაჩუმებულმა ენამ ეხლა აიქმევინა «რა მოგახსენოთ» ამის შემდგომ ლაპარაკმა მიიღო სხუა ბოლო და კიდეც მივედით კარზედ, აღარ უშვებდი, მე ასე მეგონა შინაც ასე მკლავ და-მკლავ უნდა შემეყვანა,

აქ გაიღო მან მკლავი და გულმან მხიარულებით მადლობა მაზრმანა, თავი დაუკრა და მოვიდიოდი, მითხრა შემოდი შინ გაიცანი ჩემი ქმარი და სახლობა. ქმარი ის იყო მოსულიერი აჭალიდამ. შევედით პირველ ის გამაცნო და შემდეგ უამბო ჩვენი დროის გატარება. შეეტყობოდა არ ეჭაშნიკა როგორც ქართველისა, მარტო უქმროდ შექცევა ცოლისა და მერე რუსულად კავალერის მოყოლია, თუცა კი გაიცნა ბალ-დატანცებით. სუსტი აგებულების კაცი იყო, რატომ საჯელი წოდებული, პატარა ჭრელის თვალებით და თმათაგან მისთა ზოგ ზოგ ალაგიდამ გამოიყურებოდა ჭალარა. მოვილაპარაკეთ მცირედიცა, აღვსდეგ და გამოვეთხოვე, მთხოვეს ორთა ცოლთ-ქმართა, რომ ხშირად მევლო.

რა შინ მოვედი დავწევ მალად, მარამ უძილოდ გამოვათენე ღამე, სულ ის ქალი მიდგა თვალ წინ და მის შვენიერება, უცდიდი მოუთმენლად რომ მალე გათენებული იყო, მარამ თითქოს განგებ, მე ის გრძელი ღამე ჩემთა დღეთა შინა არ მინახავს. ცისკარსა ოდეს ზარსა სცემს, აღვსდეგ, გარდვიწერე პირს ჯვარი და ვიწყე დუმილი, თუ ვითა წავიდე და ვნახო ჩემი მწველი, ის იყო ფანჯრებშიაც შემოხდა განთიადის სუსტი

სინათლე, გაველ ბაღჩაში, მძინარეთა ვარდთა აღვიძებდა დილის ნამი და ბულბულნი მოლა-რაჯენი შტოდამ შტოზედ გადაფრინდებოდენ. შევკარ ერთი უცხო თაიგული ვარდისა და შემოველ ამ განზრახვით, რომ რა მივალ და ვნახავ იმ ქალსა ამ ვარდის კონას მივართმევ და ვეტყვი: ვარდს, ვარდს გიძღვნი მეთქი: საათის ცხრაზედ სრულებით მზა ვიყავ, გამოვალე კარები, დავადექ გზასა და არ დავივიწყე ვარდის კონაცა.— რა კარი დავუ-რეკე მათ, მე გულმა მიწყო რეკა და ბაგენი ამითრთოლდენ. ვარდის კონა ფიცხლავ ჯიბეში ჩავიდე. ბებერმა დედაკაცმა კარი გამიღო, ასე შევიშალე რომ უწინ ბატონი არა ვკითხე და ვუთხარ, ქალბატონი შინა ბრძანდება მეთქი? ბებერი კუდიანი დედაკაცი იყო, შემომხედა ჩაცვივნულის თვალის პატარა თვალებით, გაანჩხლებულმა მითხრა: ვინა ხარ! თუ გესაქმება რამე, ბატონს რად არ კითხულობ? თუცა შევცდი, მაგრამ ერთის მხრით კი კანონიერად მოვიქეც: არა თუ გიყვარდეთ, კაცი ცოლიანთან საარ მიყოლდ მიდიოდეს, ქმარი რაში ეკითხება! მეც ალიალ ბედზედ მოვისწარი: ბატონი იმიტო აღარ ვიკითხე, ჩემო დედაო რომ, მე რომ მივდიოდი, შორს დავინახე ქვევითკენ მიმავალი. ისიც ჩემი ბედი, მართლა თურმე შინ არ

იყო. ამ ჩუენს ლაპარაკში ქალი მოხვდა კარებზედ და რა მიცნო შემიწვია, მაგრამ მივ-დევ და მუხლები მეკვეცება. როგორც იყო შეველ, თავი დავუკარ, დაჯდომა მიბრძანა. და უჩიოდა: წუხანდელმა ღამემ ძილი არ მომცაო, მე მოვახსენე: თქუენი ფერი არ ამტკიცებს მაგას. მცირედ გაიღიმილა. მერე მარტო-ობას უჩიოდა და მითხრა: თუ ხშირად გვნა-ხავ, დაგიმადლებთო.

— თუ მით გასიამოვნებთ, დიახ მოხარული ვიქმნები მეთქი.

დღეს უმეტეს გულის დასაწყველად ვნახე, მისთვს თუ რომ, უმეტეს შეეჩვია გული. სადა ლოყების ფერი ძოვის კაბა ეცვა, ატ-ლასის სადა ლეჩაქიდამ სჩანდენ ოთხნი გა-დავიდებულნი უცხოს ტანის მხრებზედ. ბო-ლოთ დაკულულებულნი შავნი ნაწნავნი, შალის ვარდის ყვავილიანი თასაკრავი ეკრა, წარბნი განზიდული იყვნენ, თითქო ყველა გულის შვლიდად. დიდრონთ შავთ თვალითა, მოსხმოდათ ხშირნი გრძელნი წამწამნი. ზი-ლოვნი ნელიად თამაშობდენ, ბუნებით ფერო-ვანთ ლაწვზედ. თეთრნი კბილნი უშვენებდენ ბაგეთა და ბროლის მკერდსა ჯერეთ უწო-ვარნი ძუძუნი მკაცრად ასხდენ და მოდი ახლა გამამტყუნე, გული რომ ამ არსებას არ ეთაყვანოს! მარა ეს იყო ჩემი ბედია. გამშორ-

დებოდა, ვუყვედრებდი ჩემს თავს, რატომ ეს არ უთხარ? და რატომ ის არა მეთქი? და ახლოს ვიყავ დამავიწყდებოდა და ან ვატყუოდი ხელ ვეტყვი მეთქი და დღე ხვალიაობაზედ დიდი დრო გავატარა რომ მე მის სასარგებლოთ გულისათვს ვერა გავუბედერა, ეს დღეც ესე დაილიოდა. შინ რო მოვედი ჟიბეში ხელი ჩავიყავ დამჭკნარი ვარდის კონა შემრჩა ხელ-ში, რომელიც დიდის მზადებით წავიღე რომ მიმერთმევინა იმ განძრახვით, წეღან რომ ვსთქვ. რაღა ბევრი შევაწყინო, მარტო ბევრ რასმეს განვიზრახავდი სათქმელად, მარამ პირად ვერ იქმნა ვერ უთხარ. ამაზედ უმეტეს მეკიდებოდა ცეცხლი, სხვებს ემატებოდა და ოხვრის არა ჰქონდა ზომი.

ერთის სალამოს წამოწოლილი ვარ ტახ-ტზედ და ამას ვფიქრობ, რომ რაც უნდა და-მემართოს ხვალ მაინც გამოუცხადებ იმ ქალს ჩემს სიყვარულსა, რას მიზამს, სიკვდილზე უსაზარელესი ხომ არ არის, გარნა მასცა არა ავსცდილოდები! ამ დროს შემოვიდა ის ჩემი ნათესავი ქალი და მითხრა: სიკო! მალი-ან გახდი. მე გულის მაგიერ თავის ტკი-ვილი უთხარ, მარამ მიმიხვდა, გაიცინა და მითხრა: ვაი შენი ბრალი, რა უმაწვილი ხარო? როგორ არ იცი სიყვარულის ისეთი მაღალი და საგრძნობელი ძალი აქვს, რომ

თუ კაცმა არ გამოხთქვა დაასევდიანებს; შენ არ იცი?-თუ თავი გტკივა მმარი გარგებს და თუ გული, — თქმაო.

გამოვიდა სამი დღე აღარ წაველ, მეოთხე დღეს ათ საათზედ მიველ და კიდევ ჩემი ბედი მარტო დამხვდა, მისაყვედურა საშინლად რომ სამი დღეა აღარ გინახვივართო, მარამ ჩემ გულში კი არ ჩამოიხედავდა, თუ ეხლა რა განმრახვით მოველ. ბაღჩაში გამიწვია და იქ დავდიოდით, ერთი ვარდი მოწყვიტა და მითავაზა, მეტყველი, რა მშვენიერიაო? მე მოვახსენე, მე რომ თქვენი მშვენიერება მენახოს ამისი რაღად გამიკვირდება მეთქი, მარამ ვაი იმ თქმას, კანკალით ხმით ძლივს უთხარ, გაიცინა და მითხრა: მოგწონვარო? რომ ვიცოდე, თქვენი მშვენიერება მიიღებ-დეს ჩემს გულს, მონად უძღვნი მეთქი. წარბები შეიჭმუხნა, შემომხედა მკვლელის თვალებით და მითხრა: შენ აღარ ხუმრობ? მარამ ამ გაბედვათა თითქოს გულიც გამი-მაგრეს, თუცა ლაპარაკში ცოტა ენა მებ-მებოდა. უთხარ, კი არ ვხუმრობ, მართლის გულით გეუბნები მეთქი გული დაწყლულდა შენგან, და შენგანვე წამალს ითხოვს, გემუ-დარები ჰეჰე, ორისაგან ერთი მიყავ: ან ამ სიტყვისათჳს ფრიად გამლანძლე რომ ეგე-ბის ჩემს გულს ეწყინოს და იხსნას შენის

ცეცხლისაგან, თუცა მწველი კია, და ან არა თუ შენგან წამალი დამედებოდეს, ნუ დააყოვნებ. მან მითხრა: ლანძღვით არ გაგლანძღავ, ამას კი გეტყვი რომ დღეიდგან პირველი და უკანასკნელი იყოს შენი ჩუენთან მოსვლაო. თავი დამიკრა და შებრუნდა შინა. მე როგორღა დაუდგებოდი, წამოველ, ჩემს გულზედ სთოვდა მწუხარება, ფიცხლავ წავწევ და დაუწყე ჩემს თავს ყვედრება: რა გენაღვლებოდა თუ ჩემო. მის თვალთა წინაშე მომკვდარ იყავ, მისის შებრალებით, ვიდრე მისგან გაძევებული და უნახავი მოკვდე. მრთელი კვირა ამ გვარ ფიქრებით გავატარე, ჯოჯოხეთი იყო ჩემს გულში. კვირა საღამოს, ის იყო როგორც უნდა გამოვსულიყავი და ამევლო იმ ქალის სახლისაკენ და მენუგეშნა მით, რომ დამენახა მისის სახლის კედლები, შემოვიდა ერთი პატარა ბიჭი და მომცა ბარათი და თითონ მაშინვე გაიქცა. წავიკითხე კანკალით და ესრედ ეწერა: «თუ შეგენანოს შენნი ნათქომნი, მოდი, მარტო ვარ, დრო გავატაროთ, მარამ მეორის კარებიდამ შემოდი, ბაღჩაში რო გადისო.»

«კეკე.»

მე ამ ერთმა წამის მხიარულებამ დამავიწყა გარდასრული მწუხარება. წამოველ:

მთვარე ცხადათ ნათობდა ვარსკვლავთ ცაზე და ცა ისე მოწმენდილი იყო, რომ მახვილ ბეჯითი თვალი ანგელოზის გარბენას დაინახავდა, თუცა ჩემთჳს ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო. მივედი და დაურეკე ნელიად მისგან დანიშნული კარი და ველოდი, შიშით და სიხარულით ქალის ნახვისა, მცირე ხანს უკან მოხდგა და თჳთ გამიღო კარი. ჯერ ჴმა არ გამცა, რა შინ შევედით სიცილით მითხრა. როგორ ბრძანდებით? ამასთანავე მანიშნა დაჯდომა. გახლავართ თქუჱნგან გამევებული. უმეტესად გაიცინა და კვალად მითხრა: არ გაგიგონია მდაბიური ანდაზა: ბატონი რომ ყმას უწყრებოდეს იმედიაო.

მე ამ თქმამ ფრიად განმაცვიფრა, გული შემიკრთა და აღარ ვიცოდი რა მეთქვა, ეს კი წამოვიბუტბუტე: ნეტარ იქმნას ყველა იმედი წადილისამებრ გულისა აღსრულდეს მეთქი. შებრალების თვალით შემომხედა და მითხრა: გამიგონე სიკო: ეს უნდა იცოდე რომ დედაკაცები უმეტეს დაემორჩილებიან გრძნობასა, ვიდრე მამაკაცნი, მარამ ჩუჱნი საცოდაობა ეს არის, რომ ლეჩაქის ნამუსად უნდა დავფაროთ უმჯობესი გრძნობა გულის და თქუჱნ გყუჱდრით რომ ჩუჱნ არცა გრძნობა გვაქვს ძარცა სიყვარული ვიცით. მისთჳს თუ რასაკჳრველია რომ ჩუჱნ თქუჱნებრ

თავისუფალნი არა ვართ და არა ვყვირით. კაცების სიყვარული მდგომარეობს მხოლოდ ჟინიანობაში, მინამ ცდილობს კაცი ჟინი მოიკლას და მერე მისგან მშჳენიერი ქალის სიყვარული მიემზგავსება მას, რომე მოწყვიტოს ვარდი, უსუნოს მაძღრისად და გარდააგდოს გზაზე. მაგრამ რამდენსაც კაცი დაუახლოვდება დედაკაცს, იგი უმეტეს იკვირვის სიყვარულითა, ხოლო კაცი იხსენება, თითქოს აღარც მას ხედვიდეს, რომლისათჳს გახელებული იყო, თითქოს აღარც ისევე თვალები ჰქონდეს, რომელნი ოდესმე ერთი შეხედვა შეადგენდენ მისთჳს სასუფეველს; ახლა სხვის თვალებს ეტრფის, სხვისთჳს მწველობს და სხჳას შესტრფიალებს. მაშინ რა ქმნას დედაკაცის გულმა? ვის უთხრას თავისი სენი რომ ყველამ არ გაიცინოს და ან ვის ეტყვის, კედლებისაც კი ეშინიან, მათაც ყური ჰქონდეთო: ბევრი, ბევრი, ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები აქჳს დედაკაცს უტკბესი გრძნობის გამოთქმისა, თორემ წეღანაც გითხარ ჩჳენ უმეტეს თქჳენზედ გვეწვის, ვისთჳსაც გული! განა მე არ მიყვარხარ? განა მე არ ვფიქრობ შენზედ? გარწმუნებ შენ თუ ერთი აღმოგიოხრავს ჩემთჳს, ნაცვლად მე ათასი! მაგრამ ამაონი არიან შენიც და ჩემიც ოხვრანი, ამად რომ

6.

შეუღლიებულივარ იმ კაცთან ზეცისა მადლით და მისსა შვენებისა წინა ვერ აღუდგები. თვარამ არ დაგიმალოამ და გეტყვი რომ რა პირველად ეს კაცი მე მიროთავდა მე დიდს ყარს ვიყავ და ჩემა დედინაცვალიმა მალიად მიმყიდა, მე მაშინვე უთხარ ამას: ერთგული მეგობარი კი ვიქმნები შენი, მარა არ მეყვარები კია მეთქი და ისეც არის, მე მხოლოდ ვიცავ წმინდა გვირგვინსა და არა ამ კაცის პატივისცემით მომდის შენი ეხლენი ტანჯვა.

მე მოვახსენე: მივარეთო ყოვლისუფლოო! რადგან აქამდენ დამარჩინე, რომ შენთა ბაგეთაგან გამოხდა ჩემთჳს სიცოცხლე, ახლა აღარ მოვკვდები. არა უწყი საზოგადოდ სჯლით კაცის პირ უმტკიცობას, თუ ზოგნი ერთნი არიან ამ დანიშნულში შენი მხნელნი. კაცთ მართალია დავიწყებათ საყვარელი მალე, მის, რომელი უყვართ ენით და არა გულით, თორემ ჩემებრ დამწვარი გული საყვარელისაგან, გვეცილებით, საუკუნოდ შეუცვლელი და დაუბერებელია. ჩემი გული ყველაზედ გეთანხმებათ, როგორც თქჳნ გწადდეთ, ოღონდ ნუ განიშორებთ. ამ დროს კარის რეკის ხმა მოვიდა, აღვზდეგ საჩქაროდ. ხელი ჩამოვართვი, შესურდა მეგოცნა მან პირი წამოისარა, მისმა მალომა, ვითა ანდამატისამან, მიმავრა ხავერდისამებრ ლოყი-

ლითა ზავეთა და კიდეც ვეცი კარებს: მივარე უმეტეს ნათობდა, გული დაწყნარებული დავადექ გზასა და ნელის ნიჟრით შეველ სასიამოვნო ფიქრში: უცებ ვნახე მივრბი, კიდევ დავწყნარდი, ვნახე კიდევ სირბილით შევაღე ჩემი ოთახის კარი. მომატებულად გახარებულის გულს ეტყობა ნელა ვეღარ უვლიდა.

რაღა გითხრა ძმაო, ხშირად დავდიოდი ასე რომ ერთი დღე არ მენახა, ასე მეგონა არ დაბადებულა ის დღე ჩემთვის მეთქი და იგი ცა სიყვალით აღმავსებდა, მარამ მე ხომ იმის დაკარგვა არ მიკლავს გულსა, როგორც ის სიტყვა, რომ კაცებს ყველდღიდა მუხანათობაზე და თითონ აღმოჩნდა, განა არ ვიცოდი დედაკაცების სისუსტე; მარამ რა მექნა ჩემი სული იმის ჭელში იყო და ყოველსავე, თათრისა არ იყოს ბალი, ბალის ვყუჩნებოდი.

რომელიმე დღიდგან შევამჩნიე, რომ ამ ჩემს მეთარეს ელიაყლანდარება და უჩემოთაც მიჰყავს თარისა დასაკრავად და ან რაც ერთად ვართ აღარც ისე მეხუმრება და ამ დამკვრელის უყურებს თითებში და ესეც კრძალვით ხანდისხან გადახედავს; ხომ კარგად იცი ძმაო, ვისაც კაცი ეტრფის, თუ ან სხვამ ხმა გასცა, ან მან სხვას გაუცინა გული უკვდება, და ახლა შენ სთქვ, მე ასე გაგიჟებულს

მისთჳს და ამის მხედავსა, რა გულითადა შემო-ჩებოდა. მე ეს ჩუმი მეთარე, დავტუქსე რომ უჩემოდ იქ აღარ წასულიყო, ეს იმ ქალის შეეტყო. ერთის დღეს მივედი, დიდ შეწყენილის სახით დამხვდა, ბევრი ვეხუმრე მარამ ისე გულიით ველარ გავაცინე, მე სწორე გითხრა ძალიან მეწყინა, თავი დაყუ-ვარ და გამოვედი, მომძახა ნუ დამივიწყებო. იქმნება საუკუნოთაც მეთქი. მოვედ შინა, გულმა ღონება დამიწყო, მას აქეთ აღარ გავიარე უმისოდ, მისთჳს რომ ის ძუნწი მეთარე ხშირად ჰყვანდა!....

ამ დროს შემოალო ერთმა კაცმა კარი და სთქუა: სიკო! ამდენის ეზედობით არ დაიღა-ლე? და ან ღჳთისა არ გეშინიან რომ შენ იმ ქალიზე მაგაებს ლაპარაკობ, ემართლები ჭეშ-მარიტად, დღესაც ის შენთჳს სულთ დაბნეუ-ლია და შენ რაებსა სწამობ. მეორემ გაალო კარი და სთქუა: რომელიც კაცი შერჩომია თავის საფლავის ბოლომდენ, რომ ეგ შერ-ჩომოდა. ჩუენ კაცთა ბუნებით ეს სნეულე-ბათა გვაქვს, რათა გარდავარდეთ ერთის დე-დაკაცისაგან მეორესთან, ვინამ, ვიდრე, ვპო-ვებთ მისთანა დედაკაცს, რომელსა მივაჩნდეთ საზიზღრად, მისთჳს გავგიჟდებით და მას უტყე-ვებთ, რომლისათჳს ვიყავით წინად გაგიჟე-ბული. შემოალო მესამემ და სთქუა: ძმაო

პატიოსანი დე-
დაკაცი, აროდეს თვისსა პატიოსნებასა, მი-
ლიონათ ფულისად არ გასცვლის, თუ არ სი-
ყვარულიზედ. ყველამ ვიცით ამ დედაკაცის
პატიოსნება და მასვან ამ ყბედის გაცხოველე-
ბული სიყვარული და რა დასაჯერია რომ
ამის შემდეგ ის უმგზავსი შეიყვარონა, მა-
რამ ვაცების ზაღა ეს არის, რო დედაკაცს და-
უახლოვდებიან მიზეზების კრებას მოჰყვებიან.
უცაილოდ იმ ქალის ამ კაცისათვს ეს შეუ-
ჩვევია და განგებ რომ დაამშვიდონოს და ისევ
წინანდებური დაუწყოს გული, ისე ჩვეწნებია
ხახე, ვითომ ახლო სხვას ვერ შეიყებს. ქალმა
ხომ ისე იცის, რო დაატყობს საყვარლის
გულს გრილობას, იმის თვალწინ, რომ გაა-
ჯავროს, სხვას ეწონება და ელიამაზება და
მიჯნურობაც ხომ იმ გვარია, ერთსა მეო-
რისაგან მცირედი ბევრად ეწყინება. ვსთქვათ
ნამდვილადაც იცოდა ამ კაცმა რომ იმ ქა-
ლმა სხვა შეიყვარა, ისეთი უმაწვილი რო-
გორ იყო რომ ან კი შეაჩვევინა, როგორ
არ იცოდა რომ ვინც ქალის უყვარს თუ წი-
ნააღმდეგად იმას გაუხდა ვინმე, ქალი თვა-
ლის დასანახავად მოიძულებს.

ამ ყურის მგდებელმა მამომა სთქვა:
რას ამბობთ? ვინ ამართლებთ დედაკაცებს?
დედაკაცები! დედაკაცები! ძნელი საცნობლები

არიან, ზოგჯერ მივიხვდებიან მშიშე დავარულის შენს ჰაზრისა და ხან არცკი ესმისთ ცხადათ ქმა. ეს რომ დედაკაცმა წაიკითხოს დაიყვირებს სამდურავით «სიცრუეა» გარნა როცა მათ უწოდებენ ანგელოზებად, გამლილ ვარდებად, თავდახრილ იად და სხუა. ყვავილად, დიდი მადლობელნი არიან, ეყუწმუნებიან მართლად რომ ან ვარდნი იყვნენ იგინი და ან სურნელებანი. ის კი არ იციან რომ პოეტნი ფულისათვს ადიდებდენ ნერონს ნახევარ ღმერთად....

ამ კაცებში ვინ მართლად ანბობდა, შენ გაამართლე პატივ-ცემულო მკითხველო....

დავით თაზიევი.

---

## მეფის ირაკლის წიგნი, სპარსეთით.

---

ქ. მრავლისა მინდა წერად, არამედ არა ვინებე უმეტეს ამისსა წერად, რათამცა არა უმეცრებამან ჩემმან, და ბუნებამან ვითარმედ უძლურის საქმეთა ცხოვრებისა ჩემისათა, და ჰყოფს გონება ჩემი და განმაკრთობს, ესე ვითარითა ჭირითა, და განსაცდელითა. რამეთუ ვიქმენ მრავალთა წელთა მნახველი, და შემჰსწრობ, და განმცდელი ყოველთა ჭირითა ავთა, და ყოველთა შუენიერთა, და წრფელთა და ყოველთა გემოვანთა.- რომელნიმე წარმოვსთქუა თჳთოეულად, და ან ვითარმედ მივსწვდე მე, არამედ მოვალი და მოკლებული ვჰყოვ, და ვიკადრებ წერად და ვითხოვ უფლისაგან ვედრებით, რათამცა ღირს-მყოს მე უღირსი, საქმესა ამას სასურველითა, ყოვლისა სასიხარულოსაგან, უმეტესად სასიხარულოსა ნებასა ჩემსა და აღმასრულოს ნება ჩემი ღმერთმან, და მახილვოს შვენიერი ესე

და კეთილ-ნაყოფი მზებრ ბრწყინვალე პირი შენი, ტანი იგი მოხდენილი გულისა და გონებისა.......... ჩემო ბატონის-შვილო ბატონო...... .. შენი ყრმები, ყმსახურო, და უსიამოვნო ძმა ბატონის შვილი-ერეკლე, ლამაზს თვალებზე და პირზე კოცნას ვიკადრებ, მერე წიგნი მოგწერეთ, თექჳსმეტ ქრისტეს შობის თთვეს, ენკენის თვეს მოგვივიდა, ახე გებრძანათ რომ შენის წიგნის მოსვლაში კინღამ გავგიჟდითო. წიგნისა და ამბვის მოსვლამ ახე გაწყინათ, მე რომ მომაწყვინოს ღმერთმან, ყოვრო უნდა მაშ ბიდამალი შეიქნათ, მაგრამ ექვსიოდ ალაჯი კიდევ იქნება მანდამდინ. სხვა აქაური ამბავი ეს მოგახსენო, რომ აზალი რომ მარშან წამოვიდა გიორგობის თვეს, თუ არ ვიცი ღვინობის თვეს, იმ მანძილიდამ ორი დღე გამოვიარეთ, და მესამეს მანძილიდამ დილაზე ავიყარენით. ოთხი ალაჯი გამოვიარეთ და ჩამოვხვდით, ნახევარი საათი რომ ჯერ არ გამოსულიყო, დაიძახეს, ყაენი შეჯდაო. ბინა აქ დავდო, თითოს ღამის ქერით წავედით, სანამდინ ან ჯარის კაცი, და ან ჩვენ მოვემზადებოდით, ყაენს ორი ალაჯი გაევლო. შევხვედით ჩვენცა სალამოზედ, და ღამით წინ და წინ გავვესწრო ჴელმწიფისათჳს, ორი ათასი ყარაულისათჳს, და ერთის

აჯარიხან ბეგისათჳს ებძანებინა, თქუჱნ წინ წადითო, ჩუჱნ იმათ რომ ჴელმწიფისაგან წინ გვნახეს, დაგვაყენეს, რომ ჴელმწიფესთან იარეთ თქუჱნაო, ამაში უკან ხამი მაშხალა გამოჩნდა, დავდევგით, მოუცადეთ და ჴელმწიფეც მობძანდა, და იმის თივში გავერიენით. დავიწყეთ სიარული, იმ ღამეს მთვარეც იყო და მოვადევგით ერთს უბზოს მთასა, და კლდეს, ოცადა ათი ათასი კაცი შემოვედით ვიწროში, რომ ორი სამი ურემა ალაგ-ალაგ თუ გაიმართებოდა, ერთი ასეთი ციოდა რომ თითქმის დაგვაკმო, ცხენი და კაცი დაგუბდის ამ ვიწროში ეს ჯარი, დავდევგით ამ სიცივეში და იმახიან ალალაალალა! მაგრამ ერთი ასეთი დატრიალდის ჯარი, ვეცით ერთმანეთსა გული-ფირტვი ცალკე ჩავიყრევინით ხოლმე, და ცხენმა და კაცმა და მუხლების მტვრევა, ცხენის წიხლისაგან, რასაკვრველია რომ მეტად ვამლიდით ფეხებს, მაშ რა ექნათ, ამ ყოფაში ვიყავით. ხანამდინ იმ ხევს მოვრჩებოდით, ის ხევი ნახევარი ალაჯი იყო და ხუთს საათს ძლივ გავედით, მოვხუდით კიდევ მთასა და კლდეს დიდსა, ვიარეთ და არ ვიცოდით თუ სად მივიდოდა ჴელმწიფე. ამ ბევრის სიარულში, ჯარიც დიაღ დაიღალა, და თავწვრილათ დაიფანტა. იმ დღეს გავქელო, იმ

ღამეს ვიარეთ, მეორეს დღეს რომ დასამხ-რდა, ყაენს კაცი მოუვიდა, რომ ნასარ-ხან დავიჭიროთო, და ჯარი გაექცივაო. მასუკან ყაენიც მიბძანდა, აჯიბხან-ბეგს ხალათი უბო-ძა, და ყარაულის მიმბარებსაც. იმ საღამოზე სპილოს სანახავათ წავედი მე, და ყაენმა და-მინახა. ნასარხანის კარავსა და ფარდაში ბძან-დებოდა, დამიძახა და მიბძანა შენც წამოსულ-ხარო? მე მოვახსენე, მაშ ვისთან უნდა და-მდგარვიყავ მეთქი, მიბძანა: ბარაქალა! კარ-გა გიქნიაო, წინ ქორები უსხდა, მიბძანა რომელიც გინდა აიყვანეო, მივედი ერთი ქორი ავიყვანე, მიბძანა კარგა გაამლოზდეო, თავი დაუკარი და წამოველი. იქ დავდეგით ოთხს დღეს სანამდინ ზინა ზეიბარში გა-მოვიდა, ზეიბარი დიაღ ვიწრო ადგილია და იმიტომ შეეკრა ნასარხანს ის გზა, ზინა რომ მოვიდა ფირშაყურს, შემოვედით, ოციოდ დღეს იქ დავდეგით მესამეს დღეს რომ აყრას ვაპირებდით ალიხან მირზაც მობძანდა, ყაენს ისევ ჩემთვის ებძანებინა ჯარშიბაშის პირით, რომ შენთან დადგესო, ასი თუმანი ინამი უბოძა, და მესამეს დღეს გამოვედით ფირშაყურიდამ, ერთს ქალაქს ათეგის წყალ-ზედ მოვედით, ჯისირი იდვა, გავიარეთ ზედ, ასეთი დიდი იყო რომ, ცხენი ვერ გავი-დოდა იმ წყალში, ამას გარდა კიდევ, ერთს

წყალის სხჳასხმოვალეებით ჯელით ჰქჳან, იმას ცხენით გავედით, იმას იქით ჯაანზე მივედით და მეტად დიდი წყალი იყო, მაგრამ იმასაც ცხენით გავედით, იმის პირზე ერთი ქალაქი იყო ლოაყრზე, ექვსი მანძილი იყო, ზინა იქ დაგდო ყაენმა, თადარიკით წავიდა, ვიარეთ და რომ მივასლოვდით ლოაყრის წყალის, ქალაქს პირზე ჩამოუდის, რომელზედაც გასავალი იყო, იმათ შეეკრათ თოფხანით, ამაში ამაზე ალარ მიზმანდა ჴელმწიფე, ორის ალაჯზე ზევით წავედით, ჯერ ყარაულები გავიდა წინ, ყარაულის უკან ჴელმწიფემაც გამოაცყურა ცხენი, ასიოდეს ყოლით თითონ გავარდა სიჩქარით, ამასობაში გაწვა წყლის პირზე მემარჯვენე და მემარცხნე ჯარი, შეიქნა კიდევ ვიწრობა ამათი, რომ ვერ დამიწერია, თითქმის მივადეგით ერთის ლოაფს, იქნებოდა, ერთის, ორის გოჯის გაშლა, ასეთი ტალახი იყო რომ, ლასტის სიდს რომ ზანზარი გნექონდეს, ისე ზანზარებდა, და რაც ჯარი იყო ყველამ ზედ გავირბინეთ, და წყალში რომ შევედით, ორი ყურმის ტოლი გზა ძლიეც იყო, ამას თუ გარდასცილდებოდა, იმ წყალში კაცი საფლობისაგან ვერ ამოვიდოდა, გაიჭედა ამ წყალში ჯარი, და ცურვა დაიწყო ცხენებმა, კიდევ ერთის ალაგსა, და გვ. ცუ-

რევდა ცხენები შიგ, მოგვხედა ღმერთმა და გამოვედით, მივედით და ერთს მხარეს ჩამოვხვდით, თურმე ერთი ხანი, ლოყურზე საშველად მოვიდოდა, და შიგ კი ჩამოვგვერია, ერთის ორის დახცას ყუბრმანეს, და ასს ყუულის, მივიდენ და ყათლიანი ყუყუშს, იმაში ჩუმნი კაცუბიც დაესწრენ, და ცამეტი თავი იმათაც მოართვეს ყაენსა ეს რომ გარდაწყდა, ამაში ლოყურის ხანის ზაქარიას მოციქული მოვიდა, შემოგვეთვალა, პატარა დამაცალეთო მაჭმ-მაჭხთან კაცს გავგზავნით, და რასაც ის მიზმანებს იმას ვიქო, შვლის გზავნიდა ჯარანბაის, ეს კელმწიფემ იწყინა, ადგა იქიდამ და ნახევარს ალაჯზე დაუდგა, უბძანა, თუ მოხვალთ კარგიათ, თუ არა და ხუალ იერიშს მოვიცდანითო. მეორეს-მესამეს დღეს თითონ მოვიდა, კელმწიფემ მოურახსთა შეკმაზული ცხენი უბოძა, მას უკან იმანაც, ორმოცდა ექვსი სპილო მოართვა და აში ათასი თუმანი ქალაქს გამოართვეს, ზინაც რომ მოვიდა, წავედით შიგას იანვარში ჯარანბაისკენ, და გავედით კიდევ ერთის წყალის, იმას იქით კიდევ ერთის წყალის გავედით, იმან ბევრი საქონელი წაახდინა ჯარისა, იმ წყალის იქით ერთი ქალაქი იყო საპრი-ინდი ჰქვან, იმის გვერდზე დადგა კელმწიფე, დაუძახა ყოველსა სარდარებსა, მირზაშს, ყუზბაშს,

და დაღაბაშის, ყუმბარა ზევრი ვინ სიცხეცა იმე დიანი, ჯერ წყალობაა, და ბოლოთ ეს ყუმბარა, აქედამრომ ვიდეც ვაიქცევით, სადა გაქცხლი გზა რომ მოიჩვენით, ისევ ნამუსიანათ დავიხოცნეთ ისი ჰსჯობსო. ჯარმაც ვინ სიცოცხლე მოაშსვენეს, ლეკიით, და თქვენის დოვლათით, თქვენს ზედნიერს აკვამს, ვერ დაუდგებიან ისინიო. ამაში რომ ვიყავით ექვსი ათასი ლეკი გვაკვლდა, ერთს მანძილზე ვიდევ წინ წავდეგით, და ზინა იქ დაგვდგო ჯელომწიფეგმა. და წავედით მარჯვენეთით და მემარცხნეთი, თიფ დაწყობილნი წინას ყარაულით თოფხანითა, და ზამბურაკის სროლითი, და მოვიწყვენით დიდსა ერთისა სავალსა, და ყარაულები მოვიდნენ თავები მოიტანეს, და დაჭრილი კაცები მოასხეს, ყარაულები ერთმანეთს მოხდომოდნენ. ამ რიცხვს ყარაულებს გაექცნენ, და შიგ სანგარში შეეყარათ. მეორეს დღეს ჯელმწიფე კიდევ, ისევ წესით წამოვიდა, და იმათნი ლეკის წყალობა გაქვს, რამდენი ფარი შეეყარა რიცხვს იქ დავიჭირეთ და რამდენი მოიყვნა, ფეხო ნადირი იქ მოკლეს, მივედით მაჭმადშაჰს სანგარს სიახლოვეს, ორ ალაჯ ნაზევრზე ჩამოვხედით, იმ ღამეს ყადაღა იქნა რომ, ახლოვ ყველამ იარაღით შეიკაზმოსო, ყწინ ყადაღა ჰქნა ჯელმწიფემ იარაღის ჩაცმელობისა, რომ

ჯარი არ გაისარჯლოხო, და მას უკან იხვეჯ ყუზმანა ჩაცმა. მეორეს დღეს გვეგონა შებმა და ალაო მოხდა. მოუარეთ იმათს სანგარს ზეიდამ, დავდეგით. მესამეს დღეს დაეწყო ჩუენი რაზმი და წავედით, მივედით იმაზე მზათ, და არა გამოვიდნენ, მივედით და მოახლოვებით ჩამოვხედით, პაცარა ხანი გამოვიდა დაიმახეს ყაენი შეჯდა, გავედით და შეიქნა რაზმის წყობა, და ჯაზაირები დააქვეითეს, და ყუზმანა, დასცემზე იქითა, აქათ! თავის შვილს თავისი თოფი მიაბარა, და ალმების გახსნა ბძანა, და თოვხანაც წინ გასწიეს და ერთმანეთში თამაშობა შეიქნა; ჯერ იმათი მართალი ჯარი არ გამოსული-იყო, ერთი სადათ ხანი გამოსული-იყო, ისიც გაჯავრებული იყო, ვითომ ჯანაზოთიდამ მოვიდოდა....... იმათ ყარაულები შეყრილი იყვნენ და წაერთმივათ ..... გაჯავრებული გამოვიდა, ოცდა ათი ათასის კაცით, მასუკან კიდე ხან-დოვრან გამოვიდა, ის კიდევ უდიდესის ლაშქრით, მარჯუენიც კიდევ ჩუენის ხანჯანის ბიძა შვილი მოვიდა, მაგრამ მკარი აჭკრა, და გვერდზე მოგვიარა.... ორსა დასცასა ყაენმა, იმაზედ ყუზმანა, შუაზე ხანიდროვან მოვიდა, და მარცხნივ სადათ-ხან, შეიქნა დიდი ომი, ჩუენ მირზასთან ვიდეგით ის ჯარი რომ გვერდზედ მოგვექცა, ის

იმწამზე ბურთისავით გაიქანეს, და ხანჯალის ზამა შვილიც დაიჭირეს, ამაში სადათ-ხანის დასტამ გააჭირა საქმე დიდად, და ყაენისაგან კაცი მოუვიდა ნასროლა-მირზას, ავლოცელო, და ღმერთის შეეხვეწეო, მაშინვე გარდმოიხტა და მიწას აკოცა, და ისევ შეჯდა ცხენზე, მარცხნივ კიდევ გაქცეოდა ხანის დოვრანის ჯარიც, და თითონაც დაჰსჭრეს, და გაიქცა, მაგრამ სადათ ხანის ჯარი არ დაიძრა, ამაში აქ სპილო მოჰყავსთ, აქ დაჭერილი კაცი მირზასთან მოუდისთ და ვეხვეწებით ყოველნი ღმერთსა, როდის რომ ისადათხანის სპილოს ჯაზაირი ჰკრეს რომელშიც თითონ ზედ იჯდა ისიც დაჰსჭრეს, ერთი ჯაზაირჩი ახლდა ზედ, დაიჭირა სადათხან, და ჯარი მასუკან გაიქცა, მოიყვანეს მირზასთან სადათ ხან, შეინახეს. მასუკან ჴელმწიფეც მობრუნდა, მოვედით ჩუენს სადგომზედ, იმ შუადღისას მოგვიხდა, და ჩავიდა მზე და მოვბრუნდით. მეორეს დღეს სადათხანმა თავისი ჯარიც სულ ჴელმწიფესთან მოასხა. . .

. . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . .

ქუჩაში დილაზე ჴელმწიფე შემობმანდა დიდის რიგითა, და ზამბურაკის სროლითა. ასს სპილოზე ჯაზაირჩები შესხათ, და შილანგით მოუძღვებოდენ წინ, შევედით ჴელმწი-

ფეს კარამდინ მივყევით, ჴელმწიფის სასახლე შავნით ტიხეში იყო, მოზმანდა და ჩამოხდა ......... ზარზაზნის ხროლა რომ თითქმის ის ჯანანაზათი დაიქცა, მასუკან ჩუენც წამოვედით თავიანთ სახლებში, მესამეს ღამეს ერთით თქრიალით, და ათოვის ხროლა მოხდა, თურმე გვიღალატეს, ყაენმა შველს დასცას უზმანა, ამადამ თქუენ გასწივეთ ომი, და ხვალე ღმერთი გარიგებსო, ამ ღამეს ყვე-ლამ......... დღეს წავედით, ჴელმწიფე შეჯდა და ერთს ოქროს მეჩითი იყო, ჩარდახი მქონდა, და იქ დაზმანდა, და ფაითლანი ბმანა იმ ქალაქისა, ღმერთმან იმდენი დუქნის წყალობა მოგცეს, რამდენი კაცი, დედაკაცი, და ყმაწვილი იქ მოკლეს, დიდი ფაითლანი იმათ დაემართათ......... რაიცა უნდოდათ ჯავაირი, ფლოური, ოქრო, ვერცხლი თუ რაიცა კაცს უნდა, ყოველისფერით აივსნენ, მაგრამ ჩუენ დიდად უსამოვრო დავრჩით, ამიტომ რომ ჴელმწიფის ბრძანება არ იყო, და ვერსაით გავედით, ექუსი-შვიდი კაცი გავაპარეთ, და საზრდლო......... თოთვი მოხვედრიყო მსყი-ბუქათ, მალე მორჩა, მაგრამ ჩუენის გაგზავნილის კაცებს, ხუთიოდ ცხენი, და ფანცი ფუნცი რაგინდა რამე ეშოვნათ, შუადღეს უკან ყაენმა ისევ მაჭმად შაჰას აპატივა, და ჯარი ისევ დაბრუნდა, მაგრამ ასე......... მასუკან

ყაენი დაუმოყვრდა მაჰმად-შაჰს, ნასრულას მირზასათვის, მისი წული მოართვა და ქორწილი უყო, სამი დღე სულ ჩირალდანი იყო ქალაქში და შიგ წყალში ნავები ჩააყრევინეს, და შეაბეს შუშხუნით, მაგრამ კაცი...... დიდ მარხვაში იქი, და მასუკან აყრის ჯმა შეიქნა ჭკურათ, და ჯერ მართალიკი არა ვიცოდითრა. დღესა ერთსა კარზე მივედით, და მაჰმად შაჰს დაპატიჟა ჴელმწიფემა, მეჯლიშში ქნა, და ნიზამ-მალომულუქცა უამარადიხან, და სარმურად-ხან......... ორნივე უწინვე დაიხოცნენ, და სხვა ვინც დიდი კაცი იყო ყველა დაპატიჟა, მაჰმად-შაჰს ჯილდა დაუყრაჭო, და ჴმალი შემოარტყა, და ჴელმწიფობაც იმასვე დაულოცა, და ამისს დიდ კაცებს უბძანა, თქვენ ამას ავად არ ემსახურნეთო........ რომ თქვენ ამას არ მოსხდომიხართო, სადაც ვიქნები ექვსს თავზე აქავ დავიბადებით, და ყაითლოანს გიზამ ყველიასო. მეჯლიშში რომ გათავდა იმ დღეს ალიხანს ცხენი მოუყვიდა ჴელმწიფისაგან, მეორეს დღეს ფიშხანაც გამოვიდა, და იმ სალამოზე....... არ ენახა, და ზოგი რამ სიტყვები და წყალობა უბძანა, ორმოც და ათი თუმანი იმას უბოძა, და ორმოც და ათი მე მიბოძა, და მეორე დღეს ოთხს მაისს, ჴელმწიფე გამოდგა, ხუთასი სპილო შიგ და-

ჩუეული წამოასხა, და ზამთარისა რადგან მოვიდო-
ხენო, ხხჳას გარდა..... ერთი თოუზ ტახტი
მოაქჳსთ, ვასი ხუეთი ქუერქუერია იმისი, და
გაკვეთებულიც ისუა, და ერთი ქუერქუერი-
თისასი ათასი თუმანია, იმისი ტახტობა და
სიკეთე გასინჯეთ, ჩამოვედით და გავიარეთ
ორი წყალი. ჯისირები იდვა ზედა, მასუკან
ლიაყრის წყალზედ მოვედით...... თხუთმეტს
აღაჯზე ზეიდამ ამოუარეთ, და იქ ჯისირი
იდვა წყალზე, და ზაქარია-ხანიც მოეგება,
დიდი ფეშკაშიც მოართვა, და რაც ჯარს
ტყვე ჰყვანდა, ჯისირზე კაცები დააყენა
კელმწიფემა, და ხული მოაკრევინა და ზაქა-
რია-ხანს აჩუქა, ამ ამბებში..... თვე და ლია-
ყრის წყლიდამ რომ წამოვედით, სამი დღე
იცოცხლით, და თქუენი ჭირიის სანაცვლო
შეიქნა ის დღე შენის ოჯახისა, და შენს
მტერს დაუდგება, ამისთანა დღე, ოცი-
ოდ ქრისტეანე კაცი ვიყავით, რომ ჩუენ....
კაცს რომ ამისთანა ამხანაგი მოუკჳდეს
შენ იცი, დასაკლისია, სხუა აქაური კიდევ
ესე რომ, ინდები გვაშინებდენ მარასათი მო-
გასწრობსთო, და ოჯისს თავეს იწვიმებსო, და
ველარ გახვალთო, და მართალიც იყო, ოთითო
ასეთი მტვერი...... ყოფილიყო, ასე დაბ-
ნელდის, როგორც შუაღამე, იმასთან ნათე-
ლია. იმასთან ეს რომ გარდასწყდის, მოვიდის
ღ.

ერთი ხაკუჭველთა ქარიშხლითა და წვიმა-ქუ-
ხილთა რომ აღარც კარავი დააყენა, და სიცივე-
მაც მალიად დიდად დაგვმართა..... გამოვიდის,
ერთი ასეთი სიცხე გამოუშვის რომ რა მო-
ვივლინა და რა ვჭხოქეთ? იმდენი ღმერთმა
დუშის წყალობა მოგვცეს, რამდენი სიცხეშ
კაცი იქ გახეთქა, ამაში მოვედით ჯვარზე,
და ასეთი გადიდებული იყო, რომ ბევრს აღარა-
გს..... ჯახარის გაწევა კი არ იქნებოდა.
რომ მოვედით ვნახეთ ჯისირი გაწყვეტა-
დიდად ნამეცნავათ გვეწყინა, და ვეცადენით
ზედით ქვევით ჯისირის გადებასა, და არ დაა-
ყენა, მასუკან ყაენმა ბძანა და სულ ნავით
გამოვიდა ჯარიც..... პირზედ დავდევით
გამოვლამა, სანამდის ყვავნა ჯარი გამოვიდოდა,
ერთს ღამეს ერთი შათირი მოვსა და ერთი
მეჯილოვე, და ერთი იფარიში, ყუსუფა ჭიქვან, ესე
სამნი გამეპარნენ, და ოთხი ცხენები წაგვაის-
ხეს და ლიაყის მიმართეს, და მოგვეპარნენ....
სოლომან, ჭორაძე, ცალკე გამოუდგნენ, ახ-
ლიან, დავით და გივი ერთს მხარეზედ გა-
ვგზავნე. ყაენი იმ დღეს აიყარა და წამოვი-
და. ძაგრამ ჯერ ვეჭობ ისე არ გაჭირვე-
ბოდეს ამ ყურდოში, მე იქავ სადილობამდის
ყეცადე ასლანს..... ისინიც, დავიწყე სიარული
და წამოველ, დიდვა სიცხე, დიდად ნამეცნავად
შეგვაჭირვა. მე ჩქარა გამოვედი, და ყურდოში

რომ შემოველი, დამიწყო გულის სუსტო-ბა, და ერთი ზეწვი გამიწყდა რომ ცხენიდამ არ გადმოვარდი და ჩემთან ჴორმშერის მეცი არავინ იყო, ყოხარ, ჩქარა..... და ველი რომ ჩავიყავ, დამწვა, ყუზეში ჩავისხი და პირი დავიბანე. გამოვაჭენე ცხენი, და ქარი მომე-დინა. . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . .

დავარდნოდა, მაგრამ ყუცხო ცხენი იყო, შე-ნმა მზემ ახეთი ცხენი იყო, რომ ჴანაზათის ინდეზმა, ოცა და ათი თუმანი მამლიეს, და არ მივეცი, და ამან მოინდომა, ავდეგ და მივეცაის ცხენი ჴანაზათის ვიშოვე, ამაში ჴულიმ.... და იმაზედ ჴისირი იდვა და გამოვიარეთ, მოვედით ერთის ალიაგს, და ჴარის ხანიც მო-ვდა იქა, იმ მანძილზედ მე ცივება დამაწყე-ბინა, ხუთჴერად გამაცივა, სამი ჴულაბი დავლიე, და ლუჩით მოვრჩი. იქიდამ ავიყა-რენით, და ალიხანიც ავათ.... იმანაც ჴულა-ზები დალივა, მასუყვან ათეგის წყალზედ მოვედით, ჴერ იმ მანძილზედ ალის მირზას ასი თუმანი ინამი უბოძა, და მე ორმოცდა ათი თუმანი მიბოძა, და მასუყვან ჩვენი სანაც-ნახა, და თითო ცხენი კიდევ გვიბოძა, სანს უკან სახრალოთ ვამეყიც ავათ გავვიხდა, და ძენი ჭირი წაილო, და ახლა თეშაურის ქვეიდამ, ორს მანძილზედ ვადევართ, და არ

ვიცით ღმერთი საით წაგვიყვანს, მე ბატო-ნებთან და შენთან ბევრი სიჭაღარათი და სირ-ცხვილი მაქვს... თუ ღმერთმა პატარა ზეით შემოგვაყენა, ხოლო ღჳთიით კიდევ შევიძლებ თქჳენს სამსახურს და სიამოვნებს, თუ არა და, რა გაგწყრობა? პატიოსნი ამ წიგნის წერაში აქ არ იყო, შაყურს წავიდა და მე მითხრა: თუ ამას წიგნი მისწერო, ჩემ მაგიერ სამ-სახურის... თქჳენიცა და ჩემიც, და მე მიყუ-რეთ რომ ბიძია შევიქენ, და დისწულიცა მყავს, ბატონი ჩემი დისწული როგორი ქა-ლია, ან მაგისი ქმარი როგორი ვაჟკაცი შეიქნა? მომწერე ჩემის ძმის ამბავი და მა-რიამის ამბავი მიბძანეთ რამე. დაიწერა ხუთს...

---

ეს წიგნი მოწერილია მეფის ირაკლისა-გან მაშინ, როდესაც რომ ყმაწვილობისა ჟამს იმყოფებოდა სპარსეთში, სადაცა რო-გორც იციან მკითხველთა ისტორიიდგან აღიზარდა; როგორცა ჰსჩანს წიგნი მოუწერია თავის დისთჳს, მხოლოდ არა ჰსჩანს რომელს წელში მოუწერია, თუმცა შეუძლებელია არ იყოს მოხსენებული მეფის ირაკლისაგან რიცხვი და წელი. ზოგიერთს ალაგს ამისთჳს სხედს წერ-ტილები, რომ ნამდვილში სიძველისაგამო აღარა სჩანს. რ.

## რომელნიმე შემთხვევულებანი

### მეფე ირაკლიზე

---

ჩინებულს საქართველოს, თამარ მეფეს, რომელსაცა დასაწყისსა შინა 13 საუკუნესასა ეპყრა მას, არა თუ მხოლოდ ივერია, არამედ სომხეთიცა და ადერბეჟანი ყაბულადუხამდე, ყოველითა მცხოვრებითურთ ტრაპიზონამდე და კილიკიამდე და ბრძანებლობდა რა ყოვე-ლითა მცხოვრებთა კავკასიის მთებთასა, იყო მეუღლედ დიდის რუსეთის თავადის თეოდო-რესი.

1787 წელში კაიდუხკასა შინა, ოდესცა მპატრინა იმპერატრიცამ ისილა იმპერატორი იოსებ, მეფე თანადასწრებითა პრინცის დელინისა და სეგიურისათა და სხვათა მოსარისხეთა თანა, ერთ გზის, საუბარსა შინა, ოდესაც ფრიადე-რიგოს დიდსა მიანიჭებდენ ყურადღებასა სამხედროსა დიდებასა და შეურყევლობასა შინა, იმპერატორმან იოსებ მოაგონა, რომ დაავიწყდათ ერთი პატარა მეფე, რომელიცა თუმცა შემცირებით არს სამფლობელოთი და ლონის-ძიებითა, იმყოფება რა მეზობლად ურთა მძვინვარეთა და სარწმუნოებით მოდმ-

ევროპისა ხელმწიფეთა მორის, ოტტომანიის იმპერიისა (ოსმალეთისა) და სპარსეთისა, გარდა შეზღუდვილი ველურთა, მთიურთა მიერ განუხსენებელის გავავსიისათა იცავს სარწმუნოებასა და სამეფოსაცა, რომელსაც ემოწმა და აღიარა თჳთ ფრიდერიკოს დიდმაცა. მოუმატა მოწყალემან ღმერთმან ეგე არსოს საქართველოს მეფე ირაკლი მეორე, მეფობსა 42 წელიწადი თავისუფლად, მან დაამარცხა არარატიან რვა ათასი კაცით ქართველით ოცი და რვა ათასის მხედრის მყოლებელი ყაენი აზატხან და დაადო ერევნის მაზრას ხახარი ოთხმოც და თხუთმეტი ათასი მანათი ოქროი ფული წელიწადში ხარჯი, რომელსაცა აძლევდნენ მას ოცდა ხუთს წელსა; შემოჰრწყუნა ოსმალთა სამხედრონი ერთსავე დროსა, რომელსაცა რუსეთმა დაჰკარგა თავრიდი, რომლისათჳსაცა ეკატერინა დიდმან წარუგზავნა ანდრიას კავალერი ალმასით მოჭედილი მეფესა, და კავალერი წმინდის ეკატერინასი დედოფალს დარეჯანსა და ოქრომკედი ხელი ტანისამოსი; მასვე დროსა ქარიმხანმა სპარსეთის ხელმწიფემ, მშჳდობის მყოფელობისათჳს მწოდებულმან თავისა თჳსისა ორქილად (ვინა ვერისად) მიიღო წიგნი ოსმალოს ხონთქარისაგან, რომელიც სთხოვდა მას, რომ შენ დაანებო ლომგულ-

ზვერით საქართველოჲსა ჯაჭვითა, ვინაჲ-დგან მან აღბიოსრა საქართველოსთან მოსამ-მღვრე სავამოებით (მაზრებით) და წარმო-უგზავნა წყალობის წერილით ორი ჯელი-თჳსი ტანისამოსი, მახვილი, ესე იგი შუბი, ხანჯალი მვიროვასი, ცხენი აღკაზმულობით და 12 ათასი ოქრო თავისის ქისისა ქარიმ-ხანისა, ეს ფული ცხლად ასე იწოდება. აჰა საბუთი, გინა დამტკიცება, რომლითაც დაემ-ტკიცების საჯელი ქართველისა და საქართველოსი, გინა გურჯისტანისა.

თ. დიმ. მაღალაშვი.

---

## რამდენიმე აზრი საზოგადოს

## ცხოვრებისათჳს.

---

კაცი, არა კმაყოფილი ყოვლად, თავისის თავისაგან, ამტკიცებს სისუსტესა ანუ უძლურებასა; ხოლო კმაყოფილი, ყოვლად — უგუნურებასა.

რიგიანად საუბარი და მოქმედება ჰბადებს

კაცში რომლისამე გვარის ჩუეულებასა; ჩუე-ულება ესე გვარი ყოველგან მძლეველობს და ყოველგან მოუპოებს კაცსა პატივის-ცემისა და სიყვარულისა.

ცუდი მიმოხრა აღუჭყებს ყოველთსავე, თითქმის მაშინაც, როდესაც თქჳენა ხართ გონიერნი და მართალნი. ყოველს საქმეში ყოველსა ზედა უმთავრესი — მიზეზია, და უკე-თუ თქჳენ ძალ-გიძსთ წარმდგენა საფუძვე-ლიანის მიზეზისა, მაშინ თჳთ უსიამოვნონი საქმენი წარიმართვან ესრედ საამოდ და სა-სარგებლოდ, რომელი არღარა შესაძლოა, წარმართვა მათი უმჯობესად.

ვიფიქრებთ რა საზოგადოსა ცხოვრებასა, გონებასა ჩუენსა არა ჰმართებს არა ოდეს მო-ნება და მორჩილება სხვისა ჰაზრითა. თქჳენ გმართებსთ, რათა განავრცელოთ წრე საკუთ-რისა თქჳენისა განმსჯელობისა და არა რაჲ შეიტანოთ თავში მოწმობათამებრ, წმინდად კაცობრივთა. უკეთუ თქჳენ წინადაგიდებენ სხჳათა და სხჳათა ჰაზრთა, ამოირჩიეთ რომ-ლისაცა ამორჩევა ჯერ არს, უკეთუ არა არს შესაძლო ამორჩევა არცა ერთისა მათგანისა, დაშთით იჭჳნეულებასა შინა.

ყოველსა საგანსა შინა არს ვითარიმე სრულება ანუ ღირსება დაფარული; გამო-ჩენა მისი არის ჴელოვნება კარგის გემოვ-

ნებისა. ბუნებითი ბოროტება ჩუენი იმყოფე-ბულნ გვყოფს ჩუენ, რათა ვეძიოთ ნაკლუ-ლევანება ანუ ბიწი სიმრავლესა შინა სათ-ნოებისათა, ვაჩუენოთ მას ზედ თითით და ვჰბეჭდოთ იგი მაშინ, ოდესაც დარწმუნე-ბულნი ვართ, რომელი ამ გვარი მეძიებლო-ბა წარმოგვიდგენს უფროის ცუდსა ბუნე-ბისა, ვიდრე სიჭარბესა გამსინჯველობის ნიჭისასა. რომელიც მოთუელის სიცოცხლესა თჳსსა ადარებს მეძიებლობასა შინა სხვის ნაკლულევანებათა, იგი ადარებს მას დიახ სამაგლოდ.

დ. მ.

## სხვა და სხვა ამბავი.

### სალოცვის ფურცელზე.

ნება მქონდეს რაოდენიმე სიტყუა წარსულის 1858-ს წლის, დეკემბრის ცისკარში დაბეჭდილის სალოცვის ფურცელზე ვსთქვა რამე.

მე რა მრცხვენოდა ამაზე მეთქო რამ, მაგრამ რადგანაც ჩემზედ ამბობენ, მე დიდად ვეწე-ოდე ყ. რ. კერესელიძეს, ქართული ყურნალისათვის, ამისათვის რომ ვერ ვიტყვი: გულით და სულით მინდა, ქართული ყურნალი იყოს საქართველოში საუკუნოდ, მინამ ქვეყანა ბრუნვიდეს მზის ჩარხზედ. ოღონდ ქართული ყურნალი იყოს და ღმერთს თავდებად გამლევეთ, ჩემთვის სულ ერთია, თუნდა ყ. კერესელიძე იყოს რედაქტორად და ვინც გნებავთ, თუნდა სხვა, რომელიცა იყოს.

იმ დღეს ერთს შეყრილობაში შევედი, რომწამს დამინახეს, მაშინვე ყ. კერესელიძეს დაუწყეს გმობა და თან მე მაყვედრ. დნენ: ემანდა შენი კერესელიძე, ემანდა რა და-

წერია ცისკარში, თავის სალაყბოს ფურცე-ლში? ბოლოს შევიტყე რასაც მეუბნებო-დნენ, ვთქვ: წავალ და ყურადღებით გადვა-კითხავ მეთქი.

«ყაზახზე გამოვიდა; ფენომენისავენ წავი-და და სხვანი... ამის კითხვა რომ დავა-სრულე, ამ დროს უ. კეთესელიძე შემოვიდა ჩემთან და სამდურავი ვუთხარ. — «რა დასწერია ამ გვარი იმაზე მეთქი?» ყოვლისფრით და-მარწმუნა, რომ ფანტაზიით იყო მოხსენებუ-ლი და არა პირს ვისმეთქო. ეს ხომ უ. კეთე-სელიძემ დამარწმუნა, ახლა ჩემს აზრს ვი-ტყვი იმ დავარაულის გვამზე. თუ რომ სა-ზოგადოება იმ გვამზედ ფიქრობს, მაშინ ამასაც ვიტყვი, რომ მე იმ ყმაწვილს კარგა კარგად ვიცნობ; თვით იმის მეგობრისაგან ვიცი ნამდვილად, რომ უკეთესი ყმაწვილი კაცი არ უნდა, ის არის ყოვლისფრით და, რაც მეფეს ირაკლიზე არის დაწერილი, საწყალიო, ის არ შეეხება მეფეს ირაკლის, ის სხვა აზრზედ არის დაწერილი და სხვა გვარად გასაგონი. მაგრამ ესკი უნდა მოგა-ხსენოთ, რადა ვჯავრობთ, რომლისაც ჩუენს ნაკლოვანებას გვეტყვიან რასმე? — იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე დაბრმავებულია ყოველთვის და თავის ნაკლოვანებას ვერას ხედავდეს? ეს თქმა

დიდი ხანია დამტკიცებულია საქმით, რომ რაც უნდა შეძლებულობაში იყოს ადამიანი, ვერ დაინახავს თავის თავს არას დროს.

ევროპაში, იმ ყოლიდებს და ყისაჳრველეს გზებზე რომ სწერენ და აყვავედ ახსენებენ, მაშ რა უნდა ჰქნან ამისათვის იმათ?-ჩუენის ახლოთ, თავი წყალში უნდა გადიგდონ, მაგრამ არა! ესმით და მომავლისათვის ფრთხილობენ ერთი გამოჩენილი გვამი ქალაქის ბაზარში მიდიოდა, ბაზრის თავში ნახა, აუარებელი ხალხი რომლისაც მისხვევიან და სიცილით რომლისაც შეეყურებენ მაღლა კედელზედ. ესეც მივიდა, შეხედა რომ ამის უშვერი კარიკატურა დაეკიდნიათ, ყველანი იმას შესცქეროდნენ და სასაცილოდ იგდებენ. ამან თავის მოსამსახურეებს ჩამოაღებინა ის პორტრეტი, თავის უშვერი კარიკატურა და კედლის ძირში სკამზედ დაადგმევინა, მობრუნდა და მხიარულად ხალხს უთხრა. — «იქ მაღლა კედელზე ვერ დაინახავდით რიგიანათ, აქ ახლოს უფრო კარგად გაარჩევთ და უფრო ბევრსაც გაიცინებთ.»

არ ვიცი თუ, რად ვეჯავრობთ ნაკლულევანებას თქმასა ჩუენზე? — თუ გნებავთ პირველათ ჩემგნით დაიწყეთ: მე დამგმევით, მე გამოლანძღეთ და რაც უარესია დაწერეთ ჩემზე, დიდად მიამება, ვინ იცი, იქნება მეც ბრმა ვიყო

ჩემს თავზედ. მაშინ თუ თავს მართალსა ვგრძნობ მოგახსენებთ, თუ არა და, სიამოვნით დავჩუმდებით, ჭეშმარიტად!

აბა როგორ არ იტყვის აქ? — რომლისაც თავადის გიორგი დავითის ძის ერის-თავის გაერთილობის კამედია ითამაშეს, ის ზნეობითი კამედია და ჩვენი დიდი საგრძნობელი, რა ყოფა იყო, ანუ რა მახილი! სწორედ გეტყვი, ყოვლისა ერთმა ვერ იგრძნა ის კარგი ზნეობითი კამედია და სასაცილოდ მიიღეს, ვითომ გაცინებისათვის დაუწერიათ. მე ამას რასაც ვამბობ, მართალია: საზოგადოების აზრი კარგად გამოვიკითხე მაშინ ამაზე.

აბა, ესეც როგორ არ იტყვის აქ? — ამ შეყრილობაში, ზევით რომ ვსთქვ, სადაც ყ. კერესელიძეს ჰგმობდნენ დიდად, იმ სალაყბოს ფურცლისათვის. იმ ანბავში, ერთი პატიოსანი ადამიანი შემოვიდა, იკითხა. — „რა ყოფა გაქვსთ, რა ანბავიაო? — „ყველამ ერთპირად ლაპარაკ-ჰყო და ყ. კერესელიძეს გმობა დაუწყეს: აი რა დაუწერიაო?“

იმან გაცინებით უპასუხა. — „არა! მაგ სალაყბოს ფურცლებს კერესელიძე ხომ არა სწერს, -სხვაზედ თქვა. — ეს და ეს თავადის-შვილი ჰწერს და არა კერესელიძეო.“

ამ სიტყვაზე ცეცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ ყველანი და ერთმანეთს

ცქერა დაუწყეს დამშვდებულის სახით და ბო-ლოს ერთმა თქუა სიამოვნით:

— ჰო, ეგეი! იმან რო დასწეროს, შეეფე-რება და ამას იქით კიდეც მოვიწონებთ მაგ სალაყბოს ფურცელსაო.

აჰა ჩემო ჴელმწიფენო! ამაზედ მე აღარას ვიტყვი აქ.

თ. ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი.

---

## მეჰდიას მოსვლა სპარსეთში.

---

ცხრაას ოთხმოცდა ხუთ წლამდე, ვიდრე მეფედ შეიქნებოდა მუხამედ ხუდაბენდი, სპა-რსეთში იყო საშინელი სისხლის ღვრა და ხოცა ერთმანეთი. რა გამეფდა მუხამედ ხუ-დაბენდი, დიდი მშვდობიანობა ჩამოაგდო, რომლისა მიზეზით ხალხმაც დიდად შეიყ-ვარა, ასე რომ თითქმის მარტო უმოსამსა-ხუროდ დაიარებოდა ხოლმე ისპაღანის ქალა-ქის ქუჩებში, სადაცა მანამდინ ვერა რომე-ლსა მეფესა ვერ შეეძლო მარტო სიარუ-ლი. ხარკი შეუმოკლია ქვეშევრდომთა,

დიდის სიფრთხილით ჩარჯევდა ხაზინითგან ფულისა, ქვრივთა, ობოლთა ეწეოდა და მარ-ზათა ვერ შეეძლოთ მოტყუება, რადგანაც ყოველსავე კითხულობდა, რასაცა ხელის მო-აწერდა. —

ამ დროებში ყიზილბაშებში წინათ მეტ-ყველობდენ მეფდის მოსვლისა, რომელიცა ჰსცხოვრებდა მესამეს საუკუნეში და იყო ესე-ცა ერთი ხალიფათაგანი. ეს უნდა ვიცოდეთ რომ, სპარსელებს დარწმუნებით ჰგონიათ დღესაც, რომ მეფდია არ არის მკვდარი, რადგანაც იყო წმინდა კაცი სპარსეთში. რა მოხუცებულებაში შევიდა, განშორდა ხალ-ხთა, წავიდა უდაბნოდ, სადაცა მოკვდა და ხალხში კი დააგდო ხმა, რომ რამდენსამე ასს გინა ათასის წლის შემდგომ მოვა სავსე დიდებითა და ყოველთა მორწმუნეთა ყი-ზილბაშთა განუღებს კარებს სასუფეველისა-სა. ამბობენ რომ ეს წინასწარ მეტყველობა ვითომც ყურანშიაც იყოს, მაგრამ უბედუ-რება ეს არის, რომ ძალიან ძნელის სიტ-ყვებით ჰსწერია, და ვერ შეუტყვიათ რომე-ლის წელიწადში მოვა, თუმცა ბევრსა ცდი-ლობენ გამოკვლევასა. რადგანაც სწორეთ არ იციოდენ მოსვლა, ამის მიზეზით შაჰის სა-სახლეში რამდენიმე მოსამსახურეთა მზათა ყვანდათ ყოველთვის მშვენიერი თეთრი ცხენი,

ძვირფასის სამკაულითი შეკმაზული და ალვირ ადგმული, ამისათჳს რომ ყოველს წამს მოელოდენ. მაგრამ დროება მიდიოდა და მეგდიაკი არსადა სჩანდა. ბევრი ურწმუნონი იძახდნენ რომ თავის დღეშიაც არ მოვაო, და ესე ურწმუნონი რასაკვირველია სიკუდილს მიეცემოდენ ხოლმე.

მუხამედ ხუდაბენდის მეფობის დროს, რა ზოგი ერთი შეიქნა ურწმუნო და აღარ იჯერებდა მეგდის მოსვლასა, მაშინ პირველმა მოლლამ შეიხ-ულ-ისლამმა, თავს გამოიდო შეტყობა ყორანში და ახსნა ზნელითა სიტყუათა, რომელსაცა მეფემა მადლობა უბძანა და შეტყობისათჳს მრავალი წყალობაცა აღუთქუა. მოლლამ რამდენჯერმე გარდაიკითხა, შემდგომ გამოცხადებითი თქუა, რომ ზმანებელი ხმელეთისა უეჭველად უნდა ამ ორ სამ დღეში მოვიდესო.

დიდის გულის მოდგინებით შეუდგნენ მომზადებასა; ყველანი ლოცულობდენ და ჰსწერდნენ ანდერძს. შახმა ზმანე განშვენება და მშვენიერად მორთვა თავისს სასახლისა; აურაცხელნი ცხენები ოქროს რახტის მქონებელნი, მძიმედ შეკმაზულნი იდგნენ მზათ თავლებში; რადგანაც იცოდენ, რომ მეგდის ნადირობა უყუარდა, ამისთჳს რამდენიმე მოსამსახურენი ქორმემებრიანები იდგნენ სასახ-

ლის შესავლის კარებთან, ყოველ ღამ იყო ჩირაღდანი, თითქო ქალაქს ცეცხლი ეკიდებოდა. ხალხი მოუთმენლივ შესცქეროდა ხან ცასა და ხან შორს გზასა, და მოელოდა მემკვიდრესა დიდის წინასწარ-მეტყველისასა.

მუხამედი ყოველზე მეტად აჯერებდა მეველის მოსვლისა და ამისთვის სვამეტრია მოუმზადა მასართმეველიად, რადგანაც აღითქვებოდა წარლუყნის მოსვლა იმის ბაზარში. ეს კიდევ ცოტა! რადგანაც რომ უნდოდა გვეთილიად აღსასრული და კეთილად გარდასახლება იმ სოფლის, განიზრახა სხუა პატივის გარდა, მიცემა თავისის უმშვენიერესის ქალისა, რომელსაცა ერქვა ზულეიხა. ყოველისფერი ქორწილისათვის მზათ იყო, მხოლოდ აკლდა ერთი სასიძო.

ეს უნდა ვიცოდეთ რომ, ზულეიხა იყო იმ ვარდისაგანი, რომელთაცა ხშირად აქებენ სპარსეთის პოეტები. ზულეიხა თუმცა იდგა მშვენიერს პალატაში, მაგრამ რადგანაც ერთი უმიჯნურო, ამისთვის ბეზრდებოდა მარტოობა. ვერცა ერთსა სულიერსა ვერ შეეძლო იმის სადგომში შესვლა, მინამ სამჯერ ფეხი არ დაერტყა იატაკზე და იმით არ შეეტყობინებინა: სურდა მიღება თუ არა? უთვალავნი თვალნი და მარგალიტნი ბრჭყვიალებდენ იმის ტანზე, ოთხ კუთხ კედლებისა,

ჭურამდინ იქვენენ ატანილნი წითელნი ხავერ-
დის ბალიშებისა და სხვა გვარნი ქვეშაგებნი
განამზადებულნი ყისამყოფისა აღიგისა თვისშია.
სამყოფი ამა სამღდელოსა ზღუდისა სჩანად
სავალავად ამოთხრილნი ხოლომე ნადირ-ზეის
მოვლინებაზე, რომელნიცა იყო მორწყულნი
ნაცხსავი. ნადირ-ზეი იყო ახალგაზრდა ყმაწვილი
კაცი, წლისა ოცი და ხუთისა, ბროწეული მშვე-
ნიერი კაცი მთიელის საბრძოლეთში და სა-
ყმაწვილო ყოვლად მეზობელი ზღუდისა-
სთვის, მაგრამ თვისი წლის წინათ ოდესაც
საქმეში შენიშნა შაბშა და გადავარდა ასპა-
ნიდამ. საშიშრობით თუ ცხადად, ზღუდის
იგონებდა ნადირ-ზეის. იგონებდა იმა ზედნა-
ქროთა დროებათა, რომლებსაც ყმაწვილები გა-
მოუქცევდნენ ხოლომე ბეგენებსა და ტრფობად
ტკბილად ბაღში შეექცეოდნენ. —
შესა ჰკვროდა და თითქოს კიდეც წყრო-
ბოდა, რა ხედავდა რომ თავის ქალი
შვილის მოსვლამდე იყო გულმოწყენილი; აწ ყუ-
ხარე მამა ამის მიაწოდნი არიგებდა ქალსა,
ამცნობდა ხოლომე მეგობრის მოსვლას, ლიდებსა და
ცოლქმრობა, რაც კი აწ ცხრა ცოლისა ბაროთულის
თავში; მაგრამ სიწყლილის მამის ყუბიღურები
ეს იყო, რომ ქალს ვიქრშეუცა არ მოხდომდა.
ზღუდის იცვლიდა დღეში შვიდ ნაირს
კაბასა: მაიისლინი დღეში ცამეტჯერ

დაბანდნენ ჴელოპირსა ვარდის წყლითა, ვარცხნიდენ თავსა და აცვამდენ მშვენიერსა, ახალისა ტანისამოსსა. ჩირაღდანი იყო ჩვეულებისაებრ, ხალხი ილოდებოდა ადრინდელისავით, მაგრამ მეჰდია არსადა სჩანდა. ყოველის დილის მორწმუნენი იბანდნენ: დღის უწყვეტლად მოვაო, ყოველი საღამოს ანთებდენ, ამაღამ ყაყოთ გაჩნდებაო. დღეებიც და ლამებიც მიდიოდნენ, მაგრამ არცა რა აყვაილი სადმე სჩნდა.

ესე მომზადება და ესე ანბავები აცარიელებდენ შახის ხაზინასა. შეიხ-ულ-ისლამი ეჭვში შევიდა, შახი დიდად შეწუხებული შეიქნა; ძილი ვეღარ მოსდიოდა, მადა დაეკარგა; ხოლო ურწმუნონი ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ.

ერთხელ, გათენების დროს, მრთელს ისპაჰანში შეიქნა რაღაც ყვირილი, აგრეთვე ხმა საყვირისა და სხვათა; ძოლოლობმა აწყეს ზახილი მეჩითებში და იძახდენ: წუხელის მეჰდია მოვიდა, და ახლა შახების სასაფლაოს მეჩითში ლოცულობს ჴელ გაშეშებული და ჯერ არ გამოსულაო.

ეს არის საკვირველი, რომ ასე ჩუმათ შემობძანდა მეთორმეტე მაჰომეტისა; ყველა ამასა ჰგონებდა, რომ ჭექა-ქუხილით და ელვით მოვაო, მჯდომარე იქნება ცეცხლის

ცხენჯდით, მაწის რომ მოახლოვდება ჩვენ მაგარითმეტყვი ცხენებით. ცხენით უნდა მოსყუ-ლიყოთ თუ ჭკონიასხულურისა, ხომ მოკვდა. ზოგნი მოუთმენლოც ჯგითხვადენ. ჯასა მო-კიდა და რა დროისა, ზოგი ისხა. ამ მწვა-ვლოყლინი ვატი რის ამზობდენ:

ვუმან სალამოზე, მაჩიოში ხალატა ასაკ-ლიავან შახვა უცოზდენ ასხვაროშლის მაწ-ოვასი; რადვანც იავი იდო რომ მოიტეს ლამეს განლგლეი ანუბუელი ღოგოლეიულ, ამა-სავს ვანლელი ენით და მოლელევბს მოიელის ლამეს უნდა ელიოცნით. მოლელეებსა იავას ჩვნულეებასმებო, ძალი მოსვლათი და ევლ-ოებსავით ლაცოილი. რა ალსოულეებდენ აურმე ამ ვგაისა ჩვნულებასა, უცებ მწავლეულთა მოლოთა გამოცდელვამთ რალასაც ყვაოილსდა. ამას შემდვომს მაჩიოის ეროის კუთხ. ლან შემოვსმათ ქუხალსავით ვალასაც კაა რო-მელიცა ლიამოავოზდა უცანურის ენაზე, მაგ-რამ ს. ტყვებში ზოგჯერ ამ სახელებს უოვ-ვლა-ალია და მეგლით. მოლელები შემოწყუ-ნებულნი გამოვადენ გარეთ და რომელნიცა უ მა მარნი იყვნენ ტაოვ ტაწყან, მივიდნენ ასხუს მზე-ლარი ვაცი, რომელსაც ჰქონდა სამალოვ ოცდა ხუთი ადლი; კელში ეჭირა კომალი და ტანსაცმელსა სხუა და სხუა თვალ-მარგალი-ტასავან სოუელიად ზარჩევალებდა: აქედანა

სჩანდა რომ უეჭველად მღვდლია უნდა ყოფილ-იყო. რა უმ.ამართა მოლოდინთა შეხედეს ესენიც შემინდნენ და გამოიქცნენ, მაგრამ მოჩვენებამ დაიწყო ლაპარაკი წმინდას სპარსულის ენაზე და იტყოდა: სად არის ქალი, რომელიცა დამინიშნეს საცოლოთ?... ხვალ ღამ მოვიდეს ჩემთან მეჩითშიო!“

ეს ამბავი ვიცხლავე შახს მოახსენეს, რომელისაცა სისარულით და ამპარტავნება შეიქნა გამოუთქმელი. ყველა ჰგონებდა, რომ უწმინდესი ესე სალოცავი ცოდვიანის ხალხში ჯერეთ არ შემოდის და სულის ლოცვა მეჩითშიო. მეჩითის გალავანს მოუყენეს მცველები, რომელნიცა არცა ერთსა უწმინდურსა ახლოს არ მიუშვებდენ.

მუხამედი გაიქცა და ეს ამბავი აცნობა თავისს საყვარელს ქალსა, რომელზედაცა ზულეიხა მიეცა დიდსა მწუხარებასა, რადგანც არ უნდოდა შეერთო ის კაცი, რომელიცა მომკვდარიყო ორის ორმოც წელიწადში; დიდად ეშინოდა ამ გვარის განვეზისა; ჩაყურდა მამას ფეხ ქვეშ, ეხვეწებოდა სხვის ვისიმე ქალის მაცემას და ფუზნებოდა: ჩემს თვალს მარგალიტს ყოველსავე მივსცემ სხჳა ქალს, ის დაუნიშნეთ, იმ სოფლიურსა საქრმოსათ. მასა უპასუხებდა ხოლმე: ვითა შეიძლება სხჳას მივცე

სიმამრობა, მრთელის ხმელეთის მბრძანებე-ლისაო? დიდად გაუწყრა ქალსა და უბძანა, ნებითი იქნება თუ უნებურად უეჭველად უნდა შენი თავი წარუდგინო მეგდიას, მეჩითშიო.

ჩუმათ შემოსვლა მეგდიასი, ფარულად ყოფნა მეჩითშია, ამცნევებდენ რომ არ უნდოდა დიდის ცერემონიით მიღება. როდე-საც მოახლოვდა საღამო, ზულეიხა წაიყვა-ნეს მეჩითში, საცოდავი ქალი სრულიად ბრილიანცში ჰსჯდა, მშვენიერი თითები ჰქონ-და წითლად შეღებული; პირის სახეზე ეფა-რა თეთრი ლეჩაქი; წინ მიუძღოდა უპირ-ველესი მოლლა შეიხ-ულ-ისლამი და იმის უკან თორმეტნი სხუანი მსწავლულნი მო-ლლანი, რომელნიცა მოჰქონდათ წითელ ხავერდის ბალიშებზედ დაწყობილნი ალყო-რანები. ამ სახით მიახლოვდენ მეჩითსა, სა-დაცა განისვენებდენ გარდაცვალებულნი მე-ფენი სპარსეთისანი, ფერ წასული ზულეიხა დააყენეს შუაში, შეიხ-ულ-ისლამმა წაუ-კითხა ლოცვები, რომელშიაცა უცხადებდა ცოლობასა დიდის მეგდიასასა: გამოუცხადა-და უთხრა, რომ ნეტარება შენი პირათ ვერ დამოითქმებაო; შემდგომს გაუღეს რკინის კარები, რომელიცა შეიყვანდა სასაფლაოში, შეადგეს საწყალი დედოფალი და მოუკეტეს კარები, ზულეიხას შიშით გული წაუვიდა

და წაიქცა. მცირეს ხანს უკან გონს მოეგო, ნახა რომ იყო მწყუდიადი ღამე, მხოლოდ ფოთოლების შრიალი ესმოდა.

ხნავით ახლოდ ამოსულის მთვარისაგან, მცირედ მოცისცრებულს ხეულებისა, რა იცოდა ადრევე რომ შველის მოსვლა ტყუილი იყო, ამისათვის აღარ შეეშინდა, წახდგა წინ და დაჯდა ხავსზედ. მცირეს ხანს უკან, უცებ შეხედა და მოეჩვენდა კაცის თავი რომელ-საცა მაღალი ქუდი ეხურა, რა ეს დაინახა შიშის ზარი თავსა დაეცა და წაიქცა გულ-შეწუხებული მიწაზედ.

რა ეს საშინელი ამბავი ჰხვდებოდა მეჩი-თის სასაფლაოზედ, მრავალი ისპახანი ხარო-ბდა: ხალხი თამაშობდა, მღეროდა და რამ-დენს ალაგს იკვროდა ზურნები. შახმა სიხა-რულით ვეღარ მოითმინა შინა, გამოვარდა გარეთ, გაიხსავით ქუჩაქუჩა დარბოდა ხალ-ხსა ოქროებს გადუყრიდა, და ასინიც, რასა-კვირველია რაც მალი ჰქონდათ ჰკრეფდენ. «შვილო ჩემო! მეგობარნო ჩემნო! იძახდა შახი; იხარეთ! ახ! რა ბედნიერები ვართ! შე-ველი მოვიდა და მალე ვიხილავთ სასურვე-ლისა ცაითსა. დავიჯერო რომ იმისთანა უბე-დური კაცი იყოს თქვენში, რომ არ იჯე-რებდეს შველის მოსვლისა. დაეხსენ მოვიდეს ჩემთან, შევატყო იმისა ფიქრი და მწარეგლი

მიეცე სიკვდილსა." გიჟი ვინ იქნებოდა რომ მისჯულიყო ვინმე.

მრთელს ღამეს, არავის თვალთ ხუჭი არ მოსვლია, მხოლოდ ცოტად დილით ჩაიძინეს. ისიც ამისთჳს რომ ბევრი შარბათი სვეს და სასმელები, ამასთანავე უნდა ვიცოდეთ რომ უფრო დიდს ქორწინებას მოელოდენ: მზარეულები საჭმლებს ამზადებდენ სადილისათჳს, მეფის სასახლეში ედგეს ორი მვირთვასი ტახტი: ერთი მეგდიასათჳს და მეორე ახალგაზდა ცოლისათჳს.

რა მზე ამოვიდა, შეიხ-ულ-ისლამი რამდენიმე მოლებით გაემართა მეჩითის კარებისაკენ: ნახა რომ ისევე ისე სიჩუმეა, როგორც ადრე იყო, არც მეგდია ჰსჩანდა და არც რა იმისი ცოლი. შეიხ-ულ-ისლამმა დაიჩოქა და გაუშვერო ჴელი მაღლა ქალაქის მხარეს, სხუათა მოლლათაც ეგრეთვე ჰყვეს: მრთელი დღე წინ ედვათ ხალიჩები თავიანთის წიგნებითა; მრთელს დღეს ყურს უგდებდენ კარებს; მრთელს დღეს ვერა გაიგეს.

შახი ამ გვარ საქმეზე მეტად აიმღვრა, რადგანაც უნდოდა მოუთმენლივ ნახვა უდილეხის სიმისა, და აცდუნებდა საქმეს რომ ველარ ნახვიდა, მაშინვი მოაგონდა ქალი და იწყო შეწუხება. მრთელი ქალაქი ფეხზე ედგა; ყველანი გაცვიფრებულნი შეჭყურებდენ ხალიჩას.

შემდგომ შეჰყვნენ ეჭვში, მაგრამ ვერ შეგ-ძლეს გამოთქმა.

რა საღამო მოახლოვდა, სასახლეში იწყეს რჩევა, რა უნდა ექნათ ამისთანის შეუძლებელის საქმისათვის. ყოველი მწვალებული თავისას იძახდა, ერთგან ქირისა სალდათ-სალდათის უკ-ვებოდა. დასასრულს შახმა დაიბარა შეიხ-ულ-ისლამი და უბძანა: უნდა შეხვიდე შენ თა-თონ მეჩითში, ჩაუვარდე ფეხებს ქვეშ და დი-დის ვედრებით სთხოვო მეჰდის გარეთ გამობძანებაო, საცა ხალხი მოუთმენლად მოელოდებაო. მოლლა ბძანების მორჩილი ფიცხლავ გაემართა მეჩითისაკენ, რომელსა-ცა თან გაჰყვა აურაცხელი ხალხი. ყველას კანკალით გაელო კარები; შევიდა ბაღში იმ ფიქრით რომ უეჭველად ზეციურის ნათელით განათლებული ვიქნებიო; და რადგანაც იფიქრა უცებ ნათლის ხილვით გული არ შემიწუ-ხდესო, ამისათვის ადრევე თვალები დახუჭა, შემდგომ ცოტ ცოტათი ახელდა თვალებს; რა სრულებით გაახილა, ნახა საშინელი სიბნე-ლე: ბაღში ეგრეთვე სიბნელე იყო, რო-გორათაც სასაფლაოზედ, მეძნა დაუწყო ვერა ნახა რა, მეჩითში მეძნა, ვერც იქ ნახა. მოლლები იდგნენ უძრავად, ყურს უგდებ-დენ იმ ჰაზრით, აგერ საცაა ხმას გაიგო-ნებთო, მაგრამ ვერაფერი ვერა გაიგეს

ისპაჰანის ქალაქის სახლთა ფანჯრილის შუქი, რომელნიცა მაღლა ფანჯრილით იმახლდენ, ტყუილა გამოდგა. ვერცა თუ კატა მე-გლისა ⁊ ზღუდეებისა იპოვნეს.

შეიხ-ულ-ისლამმა დიდად შეწუხდა, არ იცოდა რა ექნა, დაუწყო ძებნა კიდევ ოთხ კუთხეს, მაგრამ ვერა ჰპოვებდა, ერთის დაჩხაბულის ქაღალდის შუქი, რომელზედაც ეწერა: «მოდი ჩქარა საცოდავო ჩემო! ღამე ახლოვდება, გზა ბუნებისა ცოტ-ცოტათი წყდების.»

შეხი დიდად შეწუხდა თავის საყვარელის ქალზე, მაგრამ უფრო ამაზე ჰსწუხდა რომ ვერ შეიქნა ღირსი, სამშრია გამხდარიყო მეგლისა, ამისთვს უბძანა მსწავლულთა მოლლებთა ერთად შეყრა, რომელნიცა რა შეიყარნენ, იკითხეს ყორა-ნი მრავალჯერ ⁊ ბოლოს ასე დაასკვნეს, რომ პირველად რა მეგლიამ დაუტევა ესე სოფელი, თან წაიყვანა თავისი საყვარელი სახლის კატა; მეორედ კი, რა ავრიანდა კიდევ ზეცაში, თან წაიყვანა თავისი საყვა-რელი ცოლი ზღუდეებით. შეხი ჰკითხავდა: რისთვის ვერალია საღიდა- არ გვეჩვენო? ამაზე უპასუხებდნენ, რომ რადგანაც სპარსეთში მრავალნი ცოდვანი არიან, იმათ მოერიდოთ. ამაზე დიდად გაიხარა მუხამედ ხუდაბენდმა: თუმცა საწყალი იმისი ის იყო რომ ჰყო-

ლოდა ამ გვარი სიმე ცხადად, მაგრამ იფი-ქრა; ესეც დიდი საქმე არის, რომ იმ სო-ფელის ამისთანა სიმე მყავსო.

შახის პოეტმა ფირუზ-ედინმა დასწერა სტრი-ხები, რომელიცა რა წარუდგინა ხუდაბენდს, მიიღო საჩუქრად ხუთი ათასი თუმანი. სხუა პოეტმა რა ეს უხვება ნახა, იმანაც დასწერა და მოართვა; რადგან ხუდაბენდს უნდოდა ამ გვარი საქმების თავიდან მოშორება, უფრო ამისთვის რომ საზინაც შემოელია, ბძანა, რომ ეს უგანასვენელი თხზულება სრულებით არ ვარგიაო და ხუთი ათასი ჯოხი მიარტყმევინა.

ათის წლის უკან განისმა ხმა, ვითომც ნადირ-შეის რა შეიტყო მეჰდიას მოახლოვე-ბაო, მოვიდა ერთ ღამეს და ზულეიხა მეჩი-თიდგან გაიყვანაო, ვითომც ისპაჰანის ვაჭ-რებს ენახათ შავის ზღვის პირზედ ორნივე ერთად, ზოგი იძახდა შვიდ-რვა შვილებიც გაჩენიათ, თითქმის ერთმანეთსა გვანანო. ეს ამბავი შახმა შეიტყო, მთქმელები მოაყვა-ნინა და დაახოცინა, როგორც გაბედეს მაგ გვარი საქმის თქმა, რომელსაც რომ ზულეიხა და მეჰდია ცოლქმარნი ზეცას არიანო. იმ დროიდგან სპარსელებმა გოგრიდგან გადაიგ-დეს მეჰდიას მოსვლა.

ი. ჭ.

— ამ ახლოს ხანებში პარიჟის ქალაქში იყო გამოცდილება იმ მოგონებისა, რომლისა საშუალობითაც შეიძლება ღამე განათება ქალაქისა. თუმცა იყო იმ ხანად დიდი ყინვა ფრანციაში, მაგრამ დანიშნულს დღეს თითქმის გაივსო მოთამაშეთაგან ბულიონის ტყე, რომელიცა მდებარეობს ქალაქის გარეთ. როდესაც მოუყვადეს გასანათებულის ნივთიერებას, იმ წამსვე გაინათლდა მთელი ბულიონის ტყე ისე, რომ პოლიციის სერჟანტებსაც კი როგორც შუადღედ მიდრეკილნი მგრძნობელობისადმი იკვირვიდენ ამ საკვირველსა ანბავსა. ეჭვს ვერსამდენ ისეთი სინათლე იყო ერთის მხოლოდ ნივთიერებისაგან, როგორც დღე. ინგლისელნი შვდს ვერსზედ მოშორებით კითხულობდენ ამ სანათლეზედ გაზეთებს, განგებად ამ შემთხვევისათვს მოტანილებს. თავის დროზე, ეს ღამის მზე, როგორც უწოდებენ ფრანცუზნი, ყოველთვის იქნება სახმარი, რადგანაც მაგნენი არა ჯდებარი, იმისა შედგენა. ეს ღამითი მზე შესდგება ორის ნივთიერებისაგან: ბოგირისა და წყალისაგან. — ფრანციის მთავრობა თავგამოდებულია, დააყენოს ეს ღამით მზე ქალაქის შუაგულის თავს, მაღალ ბურჯში, რომლენიმე ას ვერსზედ მოშორებით, სადგანაც მთელს ქალაქს ისე განათებს,

როგორიც მზე შუადღის დროს. — როგორიცა ჰსჩანს, ჩუენ თავის დღეში ღამეს ვეღარა ვნახავთ თავის დროზე!... კაცის გონება რას არ მისწვდება! ამისი მომგონი არის ინგლიზელი, რომელსაცა ჰქვან სახელად: «ჯონ-ბულით.»

---

— წარსულის წლის 1858, ოკტომბრის თვეში, ქალაქს მესცაში, ერთმან სამივოს-მან სახელად ფრანსუა-ბიურვერმა, წინაშე მრავალთა ხალხთა; აანთო მეიდანზედ, ორმოც თუ სამოც ადლიზედ უსაშინელესი ცეცხლი, რომელიცა საშუალი თავისუფლად დადიოდა და სეირნებდა. შემდგომს მივიდა და სადაცა უვრო სასტიკად აღვზებული იყო, წამოწვა და მიიძინა. — ეს ფრანსუა-ბიურვერი თითქმის ათი წელიწადი მეტია ჰსცდილობს ლონის-ძიების მოპოებასა ცეცხლის დაწვის დაცვისათვს. არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, თუ ვითარსა სარგებლობასა მისცემს ამ ლონის-ძიების მოპოვება კაცობრიობასა, უმეტესად სახლების დაწვის დროს. —

---

— აქ ვიდევე საკვირველი ამბავი: სტოკჰოლმის ქალაქში, ერთს ხიმიის პროფე-

ზოგს ხშირად დროჲსსვლობასა, შესამე წე-
ლიწადია თავის კაბინეტში სტოლზედ უძევს
სიდიდით უსაშინელესი ცოცხალი გველი,
რომლისათვისაც მიუცია იმისთანა წამალი
რომ თუმცა ცოცხალია უსასმელ-საჭმელოდ,
გარნა არცა მოძრაობა აქუს და არცა გრძნობა.
ამ მოკლეს დროში მიუცია კვალად იმ
გვარი წამალი თავისგნითვე მოგონებული,
რომ მოუყვანია პირველსავე მდგომარეობა-
ში, მაშასადამე გამოუჩენია თავისი ძალი,
გარნა წამლისავე ღონისძიებით ისევე დაუ-
მორჩილებია და უშიშრად განისვენებს სტო-
ლზედ, რომელზედაცა ჰსწერს დროჲსსვლობასა
თავისუფლად. ეს ამბავი რა შეიტყო შვე-
ციის მთავრობამ, გამოსაცდელად მისცა ამ
ხიმიკოზს ერთი ფრიად დამნაშავე კაცი,
რომელიცა იყო გამზადებული დასარჩობ-
ლად, რათა გამოსცადოს ესე ვითარი მო-
გონება ამ დამნაშავეზედ. ეს კაცი იმყოფება
ახლა ხიმიკოსთან, რომელსაცა სურს მრთე-
ლის ორის წელიწადს შენახვა უსასმელ-საჭ-
მელოდ, უგრძნობლად და უძრავად, ხოლო
ორის წლის შემდგომს მოუყვანებს პირვე-
ლსავე მდგომარეობაში. — ეს საკჳრველება!
მაგრამ ჩუენი საუკუნე შეეჩვევა ამ გვართ
საკჳრველების შემოღებასა!

## რედაქციისაგან.

—ეს მესამე წელიწადია, რაც გამოდის „ცისკარი" — პირველი დაწყებითგანვე ვხმა-რობთ ყოველსავე ღონის-ძიებასა, განმშვე-ნიერებისათვის, განვრცელებისათვის და წარმა-ტებისათვის. პატივცემულთა მკითხველთა, არა ვართ ეჭვში, იციან, რომ ესე ყოველი, რაც უნდა ღონის-ძიება მოიხმაროს, ერთს პირს არ შეუძლიან მოიყვანოს აღსრულება-ში, თუ კი არ დაეხმარა საზოგადოება. სამწუხაროდ ჩვენდა უნდა ვსთქვათ, რომ გარდა ორის თუ ასე, სამის პირისა, (პატი-ვი და დიდება იმ პირთ) არა თუ გვეხმარება საზოგადოება, როგორც ვგესმის და რო-გორცა ქვეყნის მოწერითა რიცხვიდგან, ჰსჩანს ზოგი-ერთ ლიტერატორთგან, წინა-აღმდეგობას ვიღე-ებ მეტად სამძიმოა! ამისათვის, რომ მხოლოდ ჟურნალითა გვაქვს ნუგეშად, რომლისაგანცა იმედი დავიცვათ ჩვენი სამშობლო ენა. აბა რომელი გამოჩნდა და რომელმა მიიღო შრომა საზოგადოების მოწოდებისა ამ სა-განზედ — სრულებით მოსპობილი იყო ჩვენ-ში იმედი ამ გვარის პირის გამოჩენისა! განვლო პირველმა წელიწადმა და სამწუხა-როდ ჩვენდა თითქმის არცა ერთმა პირმა

მიიღო ნამდვილი მონაწილეობა ჩუენს სა-ცოდავს, ყოველთვიით დატევებულის სამშო-ბლოს ჟურნალში! გადადგა მეორეს წელი-წადში და აჰა, უცებ გამოჩნდა მწერალი მგრძნობის მექონე, რომელმაცა იწყო ჩინებულის ენაზე ტიტინი, მოუწოდებდა საზოგადოებასა კეთილის საქმეზე, ცხადად გვაჩვენებდა ყოველსავე რაც რამ შეეხებოდა ენას, — მაგრამ ესეც საუბედუროდ ჩუენდა როგორც უცებ გამოჩნდა, ისე უცებვე გა-ქრა! მკითხველი რასაკვირველია მიხვდა, რომ ვლაპარაკობთ ჟ. მოლაყბეზე. დიდ ხანს გა-ჩუმების მიზეზი, როგორც გვიწერს თჳთ ჟ. მოლაყბე, ეს იყო, რომ თვითონ ჩუენ დაუბრუნეთ რამდენიმე «სალაყბოს ფურცე-ლი» რადგანაც აქა-იქ გვესმოდა მდურვა, თუმცა უმეტესთა ნაწილთა მოსწონდათ. ბოლოს რა მივიღეთ სხუა და სხუა მხრითგან თხოვნა, კვალად ამ გვარის სტატიის დაბე-ჭდვაზე, — მოვყევით სალაყბოს ფურცლების გამოცემასა, იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება აღტაცებით მიიღებდა ამ საგრძ-ნობელის სტატიას. მაგრამ რას იტყვით, თითქმის ოთხ კუთხივ აღგვიდგნენ! რა ვპოვეთ იმ სტა-ტიაში წინა-აღმდეგი? გარწმუნებთ, რომ რასაცა ჰსწერდა ჟ. მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულითგან,

გულით-ტკივნეულობით. რა გაეწყობა! ჩუენი ჟურნალი არის საზოგადოა, მაშასადამე არის ხმა საზოგადოებისა; ჩუენი ჟურნალი გამოდის კმაყოფილებისათვის ჲ სიამოვნებისათვის საზოგადოებისა, მაშასადამე ყუჲეთუ მცირეძი რამ ვპოვეთ საწყენოდ მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ფოსტელისავე ლობის-მიეზეს მიზეზის მოსპობისათვის. — ამისთანავე ვუბრუნებთ ეუ. მოლოაეებს ბოლოშით თავის ,,სალოცფოს ფურცლებს" დღეიდგან ესალმებიან ჩუენდა სამწუხაროდ ,,ცისკარს." თუმცა ის მავეჯენს არა ინაღვლიოს! მაგრამ გონია როგორიც გვიჩუჩუელია ერთმა ფურშა, (ჩუენში. დარჩეს.) უთხოვნია მოაწრობისათვის ნების-დართვა, გაზეთის გამოცემისა, რომლისათვისაც უწოდებია საქელად ,,სალოცფოს ფურცელი." ბევრნი ჴელის მოწერნი კი ეყოლებიან!...

— მეორეს ნუმერში, ფებერვლის თვის წიგნში დავბეჭდავთ, მთელს ევროპაში განთქმულის დრამას ,,რომეო ჲ ჯულიეტა" რომელიცა ნათარგმნია ჩუენის თანამედროვე მწერლის დიმიტრი იოანეს-ძის ყიფიანისაგან.

რედ. ა.

## სხუა და სხუა ამბავი.

სალოცვის ფურცელზე. . . თ. ალ. ჭ. ორბელიანისა.
მეგდიას მოსვლა სპარსეთში. ი. გ.
ღამით მანათობელი მზე საფრანგეთში. — საშუალობა, რომლითაც, შეიძლება კაცისგან ყოფა აღგზნებულ ცეცხლში. — სტოკჰოლმის ხიმიკოსი და სიდიდით უსაშინელესი გველი. —
რედაქციისაგან.

---

## ძველი მოსწრებება

## 1859 წლისა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის „ცისკრის" რედაქციაში, კუკიას, კერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში, გაუგზავნელად, ექვსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით ანუ სხვა ადგილებში გაგზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

Печатать Позволяется. Января 5 дня, 1859 года. Испр. должн. Груз. Ценсора Св. Алексѣевъ.